ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

თბილისის უნივერსიტეტი

1
დეკემბერი, ხუთშაბათი, 2016 წ., №14

ნომერში

■ რექტორის კომენტარი თსუ-ში მიმდინარე მოვლენებზე — გვ. 2

■ საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის წინადადება სტუდენტებს კანონში შესატან ცვლილებებზე — გვ. 5

■ როგორ იქცა ლევილი სამეცნიერო-კულტურულ ცენტრად?

— გვ. 7

■ საიუბილეო კრებული „თედო ნინიძე — 65“

— გვ. 11

■ მათთვის, ვისაც სწორად წერა და მეტყველება სურს

— გვ. 12

■ ქართული ენა პირველ ქართულ უნივერსიტეტში აღარ არის პრიორიტეტული?! — გვ. 14

■ ქალი, ფემინიზაცია და გლობალიზმი

— გვ. 13

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები – 2016

„აუდიტორია 115“-ის საპროტესტო აქცია

შეხვედრა პარლამენტის განათლების კომიტეტის თ-რესთან მარიამ ჯაშთან

აქციების ფონზე გამართული არჩევნები და მიღწეული შეთანხმება

„აუდიტორია 115“-ის საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარე თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ლეგიტიმურად გამოცხადდა. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტურმა გაერთიანებამ კენჭისყრის პროცესი 9 საარჩევნო უბანზე რამდენიმე საათით შეწყვიტა, არჩევნებზე ხმის მიცემა 20 615 ამომრჩევლიდან 2436 მოახერხა, რაც მინიმალურ ზღვარზე – 10%-ზე მეტია. „აუდიტორია 115“-მა შეხვედრები გამართა თსუ-ის რექტორთან გიორგი შარვაშიძესთან და პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარესთან მარიამ ჯაშთან. შეთანხმება სტუდენტთა თანასწორობის, ფინანსური რესურსების თანაბრად გადანაწილების და უნივერსიტეტის საფაკულტეტო საბჭოებში სტუდენტთა პირდაპირი წესით არჩევის პრინციპებზე მიღწეულია. პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის გაფართოებული სხდომა 5 დეკემბერს ჩაინიშნა, სადაც მხარეები „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ იმსჯელებენ. თუმცა, პროტესტის მონაწილე სტუდენტები თსუ-ის მე-6 კორპუსის პიკეტირებას ამ დრომდე არ წყვეტენ. „აუდიტორია 115“ თსუ-ის მე-6 კორპუსიდან გასვლის კონკრეტულ თარიღს ვერ ასახელებს. მოძრაობაში აცხადებენ, რომ ე.წ. ჟურნალისტების კორპუსში სასწავლო პროცესის აღდგენის საშუალებას არავის მისცემენ მანამ, სანამ კონკრეტულ შედეგს არ დაინახავენ.

პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარესთან მარიამ ჯაშთან შეხვედრა გამართა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმაც, რომლებიც, ასევე, ჩაერთვებიან საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების პროცესში. „აუდიტორია 115“ მათთან თანამშრომლობას გამორიცხავს.

მე-3-4 გვ.

უნივერსიტეტი ჩემი პირადი ბიოგრაფიის ნაწილია

ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარესთან, თსუ-ის პროფესორთან ირაკლი ჯობახიძესთან

— როგორი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იმ დროს, როცა თქვენ სწავლობდით და როგორია ახლა, თქვენი აზრით?

— ამ წლების განმავლობაში სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა უნივერსიტეტი. შეიძლება ითქვას, რომ წარსულში, რაღაც კუთხით, ბევრი რამ უკეთესი იყო. მთლიანობაში, ამ წლების განმავლობაში, საერთო იმიჯი უნივერსიტეტისა არსებითად არ შეცვლილა. სასურველია, რომ ბევრი მი-

მე-2 გვერდზე

მორფოლოგიის ინსტიტუტში ხელოვნური გულ-ფილტვის აპარატის გამოყენების იდეაზე მუშაობენ

ევროპაში გამოცემულ საერთაშორისო სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში ცალკე თავი მიეძღვნა თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ჯგუფის, პროფესორების ნოდარ ხოდელისა და ზურაბ ჩხაიძის გამოგონებას — „ხელოვნური სისხლმიმოქცევის აპარატი” — და ამ აპარატის საშუალებით ექსპერიმენტებში მიღწეულ შედეგებს. ამერიკისა და იაპონიის წამყვანი მეცნიერების ნაშრომებთან ერთად დაიბეჭდა ინფორმაცია ხელოვნური გულ-ფილტვის აპარატში საკუთარი კონსტრუქციის ორიგინალური სისხლის ტუმბოს გამოყენების შესახებ, რომელიც დღეს არსებულ ანალოგებზე უკეთეს შედეგებს აჩვენებს. მორფოლოგიის ინსტიტუტის მკვლევართა ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებითა და შექმნილი აპარატის მეშვეობით ექსპერიმენტებში მიღწეული ეფექტებით, ცნობილი ესპანელი ტრანსპლანტოლოგი – ჰავიერ პადილო დაინტერესდა. ამ სამეცნიერო იდეების გასაცნობად და აპარატის გამოსაცდელად ესპანელ სპეციალისტთა ჯგუფი საქართველოს 2014 წელს სტუმრობდა. ამის შედეგია ის ფაქტი, რომ დღეს, ქართველი და ესპანელი მკვლევრები, ს

რექტორის კომენტარი თსუ-ში მიმდინარე მოვლენებზე

2017 წლიდან უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების ახალი წესი ამოქმედდება. თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის ინიციატივით, გამჭვირვალობის და პარიტეტის დასაცავად შეიქმნება სპეციალური საბჭო, რომელშიც არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები შევლენ. საბჭო შეიმუშავებს იმ კრიტერიუმებს, რის მიხედვითაც გაიცემა დაფინანსება სტუდენტური პროექტების განსახორციელებლად.

„2017 წლის პირველი იანვრიდან შეიქმნება კომპეტენტური საბჭო, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას, სხვადასხვა ჯგუფების მიერ განსახილველად შემოტანილი პროექტების დაფინანსებაზე. ეს პროცესი იქნება გამჭვირვალე, ღია, ყველას ექნება მასში მონაწილეობის მიღების საშუალება, იქნებიან ცალკეული სტუდენტები, თუ სტუდენტური ჯგუფები“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. მისი თქმით, ინიციატივის საფუძველი გახდა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტზე სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე სტუდენტების მიერ წამოყენებული მოსაზრება სტუდენტური პროექტების და ღონისძიებების დაფინანსებისას თანაბარი პირობების შექმნის შესახებ. დოკუმენტი საჯაროა და ღიაა მსჯელობისთვის (https://www.facebook.com/TSUganvitarebisstrategia/).

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის ინიციატივით, გამჭვირვალობის და პარიტეტის დასაცავად შეიქმნება სპეციალური საბჭო, რომელშიც არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები შევლენ. საბჭო შეიმუშავებს იმ კრიტერიუმებს, რის მიხედვითაც გაიცემა დაფინანსება სტუდენტური პროექტების განსახორციელებლად.

რექტორმა კომენტარი გააკეთა „აუდიტორია 115“-ის წევრების მოთხოვნებთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, „მოთხოვნებს გავეცანი, ყველა სტუდენტი თანასწორუფლებიანია — ვეთანხმები, რა თქმა უნდა; ავტონომია უნივერსიტეტს — ძალიან მომწონს ეს იდეა. რაც შეეხება იმას, თუ რა ფორმით არის ეს განხორციელებული, ეს უკვე გემოვნების საკითხია. არსებული ფორმა არ მომწონს და, უპირველესად, არ მინდა ხელი შეეშალოს სასწავლო პროცესს. ავტონომიის დონე აუცილებლად გაიზრდება, რისთვისაც ყველა მზადაა, მათ შორის კანონმდებლებიც, საქართველოს პარლამენტიც, მზაობა მაღალია, თუმცა ფორმები არის სხვადასხვა“. უნივერსიტეტის რექტორს მიაჩნია, რომ კანონმდებლობით უნივერსიტეტს უნდა გადაეცეს ის უფლებები, რომელიც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტსა და სტუდენტებს განსაზღვრონ როგორი მოწყობა ურჩევნიათ. „ხაზი მინდა გავუსვა იმასაც, რომ პრივილეგირებული ჯგუფები უნივერსიტეტში არ იქნებიან“, — განაცხადა რექტორმა.

როგორც გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, „აუდიტორია 115“ წევრების განცხადება საერთო საცხოვრებლის თემაზე ახალი არ არის. ,,საერთო საცხოვრებლების პრობლემა არსებობს, რომელიც გუშინ არ გაჩენილა. უკვე დაწყებულია სველი წერტილების, კვების საკითხების მოგვარება, კეთდება უკაბელო ინტერნეტი, ასევე მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ უფასო იქნება საბაგირო გზა სტუდენტებისთვის, რომლებიც მაღლივ კორპუსში დადიან საერთო საცხოვრებლიდან. ამ პრობლემის მოგვარებას სჭირდება, რა თქმა უნდა, სახსრები, დრო და, რაც მთავარია, არის ნებაც, რომ მოწესრიგდეს ეს საკითხები“.

თსუ-ის რექტორის განცხადებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდება წამყვანი კვლევითი ევროპული დონის სასწავლებელი. თსუ ითანამშრომლებს ყველასთან, რათა უნივერსიტეტში გარემო გაუმჯობესდეს, მათ შორის იმ მიმართულებით, რომ ყველას ჰქონდეს თანაბარი უფლებები.

ორი თვის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე, ყველას შეუძლია იხილოს უნივერსიტეტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტის ბრძანება, რომელიც ღია სივრცეშია განთავსებული, ჩაერთოს მასში და თავისი წვლილი შეიტანოს მის გაუმჯობესებაში. სტრატეგიული გეგმის ფარგლებში ასევე განიხილება 2017 წლიდან სტუდენტური ღონისძიებების დასაფინანსებელი პროექტების სავარაუდო მიმართულებები, რომელიც ასევე შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ დოკუმენტში, გამოხატოთ თქვენი აზრი და შეიტანოთ ცვლილებები.

თსუ ჟურსდამთავრებული

უნივერსიტეტი ჩემი პირადი ბიოგრაფიის ნაწილია

ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარესთან, თსუ-ის პროფესორთან ირაკლი კობახიძესთან

პირველი გვერდიდან

მართულებით სწრაფი ტემპით განვითარდეს თსუ.

— ***სტუდენტებს პრეტენზია სწავლის ხარისხზე აქვთ. დაგროვდა პრობლემები, რაზეც ბევრი პროტესტს გამოთქვამს...***

— იურიდიული ფაკულტეტის მაგალითზე შემიძლია უფრო კარგად ვისაუბრო, რადგან ისე კარგად არ ვარ ჩახედული სხვა ფაკულტეტების შიდა სამზარეულოში. რაც შეეხება იურიდიულ ფაკულტეტს, ბევრი ხარვეზი რჩება, მათ შორის, სწავლების ხარისხის კუთხით. მქონდა საშუალება, რომ გერმანიაში მიმეღო განათლება და, ბუნებრივია, ამ გადმოსახედიდან ძალიან შორს ვართ სწავლების იმ ხარისხისგან, რაც დღეს გერმანიაშია. სხვადასხვა მიმართულებით სჭირდება ფაკულტეტს და, ზოგადად, უნივერსიტეტს განვითარება, მათ შორის, ერთ-ერთია პედაგოგების, პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება და ამ კუთხით სერიოზული პროგრესის მიღწევა. გვაქვს, აგრეთვე, სასწავლო ლიტერატურის კუთხით სერიოზული პრობლემები. არის მთელი რიგი საგნები, რის შესასწავლადაც საჭირო სახელმძღვანელოები ან საერთოდ არ არსებობს, ან არ არის სათანადო ხარისხის. გარდა ამისა, სტუდენტების სოციალური განვითარების საშუალებები ნაკლებია. მაგალითად, საზღვარგარეთ სტუდენტები ჩართულნი არიან სხვადასხვა ტიპის აქტივობებში — სპორტულ, კულტურულ და ა.შ. ღონისძიებებში. სამწუხაროდ, თსუ-ში, ამ კუთხით, ბევრი რამ არის გასავითარებელი. ინფრასტრუქტურის მხრივაც, ვიცით, რომ არის სირთულეები, ანუ ბევრი მიმართულებაა, სადაც გვჭირდება პროგრესი. წინსვლის პოტენციალი არსებობს, მაგრამ, მთავარია, რომ მიზნობრივად დაიგეგმოს უნივერსიტეტის რეფორმა და შემდეგ თანმიმდევრულად განხორციელდეს იგი.

— ***ქუთაისში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნის პერსპექტივა მართლაც მისასალმებელი და სასიხარულოა, მაგრამ ჯავახიშვილის უნივერსიტეტი, ალბათ, პრიორიტეტულ უმაღლეს სასწავლებლად უნდა მიიჩნევ-***

ოდეს, რომელსაც საბაზისო დაფინანსება სჭირდება თუნდაც ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად და სერიოზული რეფორმების გასატარებლად. რამდენად აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ, როგორც ნომერ პირველ უნივერსიტეტს, უფრო მიაქციოს ყურადღება?

— ერთი მიზანი მეორეს ხელს არ უშლის (ვგულისხმობ ქუთაისში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნას). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნამდვილად არის პრიორიტეტი — თსუ არის არა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო დაწესებულება, არამედ ქართული კულტურის ნაწილიც. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება მართლაც უნდა მიექცეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებას. ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან დაკავშირებით სხვა მიზნები არსებობს და ეს ხელს არ უშლის და ვერც შეუშლის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებულ მიზნებს, რაც შეიძლება ჰქონდეს ხელისუფლებას. ანუ თსუ მრავალი მიმართულებით საჭიროებს განვითარებას. ამისთვის უნდა გაკეთდეს ბევრი რამ, დაწყებული ინფრასტრუქტურით და დამთავრებული სწავლების ხარისხის გაუმჯობესებით.

— ***რამდენად შესაძლებელია საბაზისო დაფინანსება...***

— ეს კომპლექსური საკითხია. ზოგადად, როდესაც საბიუჯეტო დაფინანსებას ეხება საქმე, ეს ყველაფერი მომიჯნავე საკითხებთან არის დაკავშირებული, ანუ მარტივი არ არის ასეთი თემების გადაწყვეტა. თუმცა, თსუ არის პირველი და მაქმაზად ვარ, რომ მთელი ენთუზიაზმით ჩავერთო ნებისმიერ აქტივობაში, რაც დაკავშირებული იქნება თსუ-ის განვითარებასთან. უნივერსიტეტი ჩემი პირადი ბიოგრაფიის ნაწილია და, ბუნებრივია, მისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს, არა მხოლოდ მე, არამედ თითოეულ კურსდამთავრებულს. აქედან გამომდინარე, პირადად მზად ვარ, რომ მაქსიმალური წვლილი შევიტანო უნივერსიტეტის განვითარებაში.

მზად ვარ, რომ მთელი ენთუზიაზმით ჩავერთო ნებისმიერ აქტივობაში, რაც დაკავშირებული იქნება თსუ-ის განვითარებასთან. უნივერსიტეტი ჩემი პირადი ბიოგრაფიის ნაწილია და, ბუნებრივია, მისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს, არა მხოლოდ მე, არამედ თითოეულ კურსდამთავრებულს. აქედან გამომდინარე, პირადად მზად ვარ, რომ მაქსიმალური წვლილი შევიტანო უნივერსიტეტის განვითარებაში.

სიმალურად ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ფინანსურადაც იყოს უზრუნველყოფილი უნივერსიტეტის განვითარება.

— ***აკადემიურ კონკურსებთან დაკავშირებით პრობლემას წარმოადგენს ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვა. რას ფიქრობთ ამ მიმართულებით? ადრე თქვენც შეგეხოთ ეს თემა, როცა ასოცირებული პროფესორი ვერ გახდით...***

— თსუ-ში რესურსი არის, მაგრამ, სამწუხაროდ, თითქოს ხელოვნურადაა ბარიერი შექმნილი ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვისთვის წრეა თითქოს, ჩაკეტილი. პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაციის პრობლემა ნამდვილად დგას თსუ-ში, ეს იურიდიული ფაკულტეტის მაგალითზე შემიძლია გითხრათ. ამ მიმართულებითაც საჭიროა გარკვეული ხედვის ჩამოყალიბება და ქმედებები, რათა აბსოლუტურად გამჭვირვალედ და სამართლიანად ჩატარდეს კონკურსები.

— ***უნივერსიტეტი გეგმავს კურსდამთავრებულთა ასოციაციის და ფონდის შექმნას. როგორც უნივერსიტეტის წარმატებული კურსდამთავრებული და პროფესორი, საკუთარ თავს რა როლს მიანიჭებთ და რას გააკეთებთ თქვენი ალმა-მატერისთვის?***

— მზად ვარ, რომ მთელი ენთუზიაზმით ჩავერთო ნებისმიერ აქტივობაში, რაც დაკავშირებული იქნება თსუ-ის განვითარებასთან. უნივერსიტეტი ჩემი პირადი ბიოგრაფიის ნაწილია და, ბუნებრივია, მისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს, არა მხოლოდ მე, არამედ თითოეულ კურსდამთავრებულს. აქედან გამომდინარე, პირადად მზად ვარ, რომ მაქსიმალური წვლილი შევიტანო უნივერსიტეტის განვითარებაში.

— ***მიუხედავად იმისა, რომ, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, პოლიტიკაში დიდი დოზით ერთვებით, თუ აპირებთ უნივერსიტეტში დარჩენას?***

— აუცილებლად! უნივერსიტეტის გარეშე ვეღარც წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება. აქ ვასწავლი 2005 წლიდან და აუცილებლად გავაგრძელებ პედაგოგიურ საქმიანობას.

— ***თქვენ ჩვენი გაზეთის რედკოლეგიის წევრი იყავით. რამდენად არის აუცილებელი, რომ გაზეთმა უნივერსიტეტის მემატიანის როლი ბოლომდე შეასრულოს?***

— უნივერსიტეტის გაზეთის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია — იგი ინახავს უნივერსიტეტის ისტორიას, მას უჭირავს ხელი უნივერსიტეტის პულსზე და როდესაც მე ვახერხებდი უფრო აქტიურად, ყოველდღიურ რეჟიმში უნივერსიტეტის ცხოვრებაში ჩართულობას, მუდმივად ვეცნობოდი დიდი ინტერესით ამ გაზეთს. მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებთ.

ესაუბრა **ნინო კაკულია**

არჩევნები საპროტესტო აქციის ფონზე

„აუდიტორია 115“-მა საპროტესტო აქცია თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების წინა დღეს დაიწყო. 24 ნოემბერს სტუდენტებმა უნივერსიტეტის VI კორპუსი დაიკავეს. მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია. „აუდიტორია 115“-ის წევრებმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას პროტესტის შეწყვეტის წინაპირობად 7 პუნქტიანი მოთხოვნა წაუყენეს:

„1. დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა „უმაღლესი განათლების შესახებ კანონში“ 45-ე მუხლის გასაუქმებლად, რაც გულისხმობს თვითმმართველობის არსებული მოდელის გაუქმებას. შემუშავდეს საფაკულტეტო საბჭოში სტუდენტების არჩევის პირდაპირი წესი.

2. კონსტიტუციაში განისაზღვროს განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების ქვედა ზღვარი მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდებით.

3. გამოიყოს თანხა უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის სრული რეაბილიტაციისთვის.

4. მოვითხოვთ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების გაუქმებას. საფაკულტეტო საბჭოს არჩევნები პირდაპირი წესით გაიმართოს მას შემდეგ, რაც მოხდება კანონის ცვლილება.

5. უნივერსიტეტის რექტორმა შეასრულოს წინასაარჩევნო დაპირება და სასწრაფო წესით დაინერგოს უნივერსიტეტში გარე რეფერირების მექანიზმი“, — აღნიშნულია სტუდენტების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მმართველ პოლიტიკურ ძალას და უნივერსიტეტის რექტორატს. მიმდინარე წლის აპრილის მოვლენების დროს პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა მოგვცა პირობა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმა დაიწყებოდა. თუმცა არჩევნები მაინც ტარდება. მოგვატყუა მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ. სანამ ხელშესახები ცვლილებები არ დაიწყება, თსუ-ის მე-6 კორპუსი დაკავებული გვექნება. შევეცდებით უნივერსიტეტში კრიზისული მდგომარეობა შევქმნათ და მოთხოვნების აქტუალიზაცია დავიწყოთ“, — განაცხადა „აუდიტორია 115“-ის წევრმა გიორგი ჩიხლაძემ.

საპროტესტო აქციის დაწყებას გამოეხმაურა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წინა მოწვევის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ბახვა კვირიკაშვილი: „ჩვენ დავაანონსეთ, რომ „აუდიტორია 115“ გეგმავდა კენჭისყრის პროცესის ჩაშლას. მათ ქმედებას შესაბამისი პასუხი უნდა გაეცეს საუნივერსიტეტო საზოგადოების მხრიდან. დაუშვებელია, სტუდენტთა ერთმა გაერთიანებამ მთელი უნივერსიტეტი „მძევლად აიყვანოს“.

25 ნოემბერს „აუდიტორია 115“-ის წევრთა ძალისხმევით თსუ-ის I, II და III კორპუსებში განთავსებულ 9 საარჩევნო უბანზე რამდენიმე საათით კენჭისყრის პროცესი შეწყდა. შექმნილი ,,დესტაბილიზაციის” გამო არჩევნების დროებით შეჩერების გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა მიიღეს.

„გვინდა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის იერარქიული სისტემა თანასწორი წარმომადგენლობის სახით ჩავანაცვლოთ. თითოეულ სტუდენტს ექნება საკუთარი თავის წარდგენის შესაძლებლობა. II კორპუსში შესვლა ცოტა ხნით დაცვის წარმომადგენლებმა შეგვიზღუდეს, თუმცა მაინც მოვახერხეთ კენჭისყრის პროცესის შეჩერება“, — აღნიშნა „აუდიტორია 115“-ის წევრმა გიორგი სოფრომაძემ.

II კორპუსის პარალელურად ხმის მიცემის პროცესი შეწყდა III კორპუსში განთავსებულ საარჩევნო უბნებშიც, სადაც ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი თამარ გაგოშიძე გამოვიდა და სტუდენტებს მოლაპარაკების მაგიდასთან გადანაცვლება შესთავაზა. დეკანმა ასევე ისაუბრა თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელების შესახებ.

მე-6 კორპუსის პიკეტირება
24 ნოემბერი, 2016

„აუდიტორია 115“-ის აქცია
25 ნოემბერი, 2016

თვითმმართველობის არჩევნები
25 ნოემბერი, 2016

საარჩევნო კომისიის ბრიფინგი
25 ნოემბერი, 2016

„სტრატეგიული განვითარების გეგმა კარგია, მაგრამ ის ეხება მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ჩვენ ვითხოვთ მასშტაბურ ცვლილებებს. მაგალითად, პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსებისა და გარე რეფერირების საკითხები სახელმწიფო ნების გარეშე ვერ მოგვარდება“, — აღნიშნეს „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებმა.

* * *

საპროტესტო აქციებისა და შეჩერებული საარჩევნო პროცესის მიუხედავად ხმის მიცემა 10%-ზე მეტმა ამომრჩეველმა მოახერხა. შესაბამისად, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნები ლეგიტიმურად ცნო. არჩეულია 140 დელეგატი. მოქმედი კანონით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით, არჩევნებიდან ერთი კვირის განმავლობაში ცესკო მოიწვევს სტუდენტური თვითმმართველობის პირველ სხდომას, სადაც აირჩევა პრეზიდენტი, ორი ვიცე-პრეზიდენტი და დაინიშნებიან დეპარტამენტების ხელმძღვანელები.

„ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ლეგიტიმურია. 20615 ამომრჩევლიდან საკუთარი პოზიცია 2436 სტუდენტმა დააფიქსირა, რაც კანონით განსაზღვრულ მინიმალურ ზღვარზე მეტია. ჩვენ გვაქვს დრო, რომ მივიღოთ და განვიხილოთ საჩივრები. ამ არჩევნებზე ყველა კანდიდატი დარეგისტრირებული იყო დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით.

13 უბნიდან შეუფერხებლად იმუშავა 4-მა, 8 უბანი რამდენიმე საათის განმავლობაში იყო ბლოკირებული. ეს არის გარკვეული წესების დარღვევა. თსუ-ს აქვს დისციპლინური ნორმები, რომელიც ვრცელდება როგორც თანამშრომლებზე, ასევე სტუდენტებზე. მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი სტუდენტის საკითხი, რომელიც ხელს უშლიდა კენჭისყრის პროცესს, განიხილოს ეთიკის კომისიამ“, — განაცხადა არჩევნების შემაჯამებელ ბრიფინგზე თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დემეტრე ეგნატაშვილმა.

20615 ამომრჩევლიდან საკუთარი პოზიცია **2436** სტუდენტმა დააფიქსირა, რაც კანონით განსაზღვრულ მინიმალურ ზღვარზე მეტია.

ცესკო-ს ოფიციალურ გადაწყვეტილებას „აუდიტორია 115-ის“ წევრები საპროტესტო ტაშით შეხვდნენ. სტუდენტური მოძრაობის წარმომადგენლებმა საპასუხო ბრიფინგი გამართეს და პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის თავმჯდომარესთან შეხვედრა მოითხოვეს. ასევე, გამოთქვეს ვარაუდი, რომ სტუდენტური თვითმმართველობა ისევე აგრძელებს საქმიანობას, როგორც ,,ნაციონალური მოძრაობის” ხელისუფლებაში ყოფნის დროს — პრივილეგიები პარტიული აქტივიზმის სანაცვლოდ.

„ჩვენ ვითხოვთ, რომ ყველა სტუდენტი თანაბარ სასტარტო პირობებში იყოს, ჰქონდეს თანაბარი წვდომა ფინანსურ თუ სხვა რესურსებზე. ჩვენი პოზიცია ასეთია – არჩევნები არალეგიტიმურია. ცოტა ხნით თავი დავანებოთ კანონით გაწერილ ასპექტებს. ჩვენ ვერ ვაღიარებთ არჩევნებს ლეგიტიმურად, როდესაც სტუდენტების საერთო რაოდენობა შეადგენს 20 615-ს და აქედან მხოლოდ 10% ცხადდება არჩევნებზე. ჩვენ ვთხოვთ შეხვედრას პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, პრემიერ-მინისტრს — განახორციელონ ყველა დაპირება, რაც მოგვცეს. ტექნიკური მხარე მოგვარებულია, საჭიროა მხოლოდ პოლიტიკური ნება. „აუდიტორია 115“ მხოლოდ თსუ-ზე არ არის ორიენტირებული. ვითხოვთ, დაიწყოს განათლების ფუნდამენტური რეფორმა! ვიბრძვით უკეთესი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკისთვის. გვინდა, რომ სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში გაუმჯობესდეს საცხოვრებელი პირობები. ჩვენი პოზიცია ურყევია, ვრჩებით მე-6 კორპუსში და უკეთესი განათლებისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ“, — განაცხადა „აუდიტორია 115“-ის წევრმა გიორგი ჩიხლაძემ.

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შესახებ საკუთარი პოზიცია დააფიქსირა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არჩეული დელეგატების იმ ნაწილმა, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს წევრიც გახდა. მათ აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ სტუდენტთა უმრავლესობის პოზიციას, რომლებმაც საკუთარი არჩევანის დაფიქსირება ვერ შეძლეს და მზად არიან, არჩევნების ხელახლა გამოცხადების შემთხვევაში, კენჭისყრაში მონაწილეობა კიდევ ერთხელ მიიღონ.

ნატო ოგოლაძე

„მეექვსე ჩვენია“

დიალოგის რეჟიმში გადასული სტუდენტები

საერთო მოთხოვნები, თუმცა განსხვავებული გამოხატვის ფორმა — ეს ის ძირითადი დილემა იყო, რის გამოც კვირის დასაწყისში თსუ-ის VI კორპუსმა კიდევ ერთხელ მიიპყრო მედიის ყურადღება.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: 24 ნოემბერს საღამოს აუდიტორია 115-ის წარმომადგენლებმა თსუ-ის VI კორპუსი დაიკავეს, რითაც მათ 25 ნოემბერს დანიშნული სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები გააპროტესტეს.

VI კორპუსის პიკეტირებამ სასწავლო პროცესის შეფერხება გამოიწვია. ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ლექცია-სემინარები, რომლებიც VI კორპუსში უნდა გამართულიყო, სხვადასხვა კორპუსებში გადაიტანეს. ამ ფაქტმა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სტუდენტთა ნაწილის უკმაყოფილება და პროტესტი გამოიწვია.

პიკეტირების მე-4 დღეს, 28 ნოემბერს ისინი VI კორპუსის წინ შეიკრიბნენ და „აუდიტორია 115“-ის წევრებს მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა სთხოვეს. დიდხნიანი კამათის შემდეგ შეხვედრის და მოლაპარაკების ადგილად I კორპუსი შეირჩა.

აუდიტორიაში შეკრებილ ორივე მხარეს სიტყვით მიმართა ჟურნალისტიკის მიმართულების ლექტორმა თამარ ბელქანიამ, რომელმაც ყურადღება კონსესუსის მნიშვნელობაზე გაამახვილა და ორივე მხარეს სიმშვიდისკენ და კეთილგონიერებისკენ მოუწოდა: „გასაგებია იდეა, რომელსაც ვიზიარებთ

და ვეთანხმებით, თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია კონსენსუსი. იდეას თან ახლავს გამოხატვის ფორმა, რაც არ უნდა იყოს რადიკალური და არ უნდა არღვევდეს სხვის უფლებებს. აუცილებელია საერთო ენის გამონახვა, რადგან ეს უნივერსიტეტი ჩვენია — ყველასია“, — აღნიშნა მან.

შეხვედრაზე მომავალმა ჟურნალისტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ისინი სრულად იზიარებენ „აუდიტორიის 115“-ის წევრების მოთხოვნებს, თუმცა არ ეთანხმებიან ისეთ რადიკალურ ქმედებებს, როგორიცაა სასწავლო კორპუსის პიკეტირება.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტმა ნინო ტაბაღუამ პროტესტის პრინციპულ, მაგრამ არაძალადობრივ ფორმებს დაუჭირა მხარი: „ჩვენ არ ვართ წინააღმდეგნი, რომ უკეთეს გარემოში ვისწავლოთ და ამის საჭიროებას და აუცილებლობას ყველა ვხედავთ, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი გამოხატვის ფორმა. ის, რომ ჩვენ სასწავლო პროცესში გვეშლება ხელი, მიუღებელია. ვთავაზობთ მათ, რომ დავდგეთ ერთად, გავერთიანდეთ ერთი იდეის გარშემო, თუმცა, თავის მხრივ, მოხსნან პიკეტი, რომ ხელი არ შეეშალოს სწავლის პროცესს“, — განაცხადა მან.

„აუდიტორია 115“-ის მოთხოვნები იგივეა, რაც გაზაფხულზე იყო — უმაღლესი განათლების ძირეული რეფორმა და უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 45-ე მუხლის გაუქმება. აქციის მონაწილემ, „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენელმა ბექა ბუხნიკაშვილმა სახელმწიფოს მხრიდან გამოჩენილ გულგრილობაზე ისაუბრა. მისი განმარტებით, ამგვარი რადიკალური გზებით ისინი ყურადღების მიპყრობას ცდილობენ: „ამ პიკეტის მიზანია ხმა გავაგონოთ სახელმწიფოს და გავაგებინოთ, რომ უკეთესი განათლება გვჭირდება. პროტესტი გაგრძელდება მანამ, სანამ არ იქნება კონკრეტული ცვლილება. გასაგებია, რომ იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას და რეფორმას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, თუმცა ჩვენ გვჭირდება კონკრეტულად იმ ნაბიჯების დანახვა, რომელიც დაგვარწმუნებს, რომ ეს სასიკეთო ცვლილებები დაწყებულია“, — აღნიშნა მან.

28 ნოემბერს თსუ-ის ადმინისტრაციამ VI კორპუსის პიკეტირების გამო სტუდენტებს ახალი ცხრილი და სასწავლო აუდიტორები შესთავაზა, რამაც პროტესტის ახალი ტალღა გამოიწვია. მათ ამჯერად სოც-პოლის დეკანთან და რექტორთან შეხვედრა მოითხოვეს. სტუდენტები აცხადებდნენ, რომ მათ არ შეუძლიათ მაღლივიდან III ან IV კორპუსებში სირბილი ლექციებს შორის, გარდა ამისა, აერიათ უკვე დალაგებული და სამსახურებთან შეთავსებული სასწავლო გრაფიკიც. „ჩვენ არ ვსაუბრობთ ულტიმატუმების ენით. ჩვენ ვართ სტუდენტები და გვსურს სასწავლო პროცესის გაგრძელება ნორმალურ პირობებში, სწორედ ამიტომაც ვითხოვთ შეხვედრას დეკანთან და რექტორთან, რათა გავაპროტესტოთ მაღლივში ლექციების გადატანა, რაც პრობლემებს უქმნის სტუდენტების წინასწარ შექმნილ და წვალებით დალაგებულ გრაფიკს. ეს პროცესი საკმაოდ დიდ დროსთან არის დაკავშირებული“, — განაცხადა IV კურსის სტუდენტმა მარიამ ცისკარიშვილმა.

„მეექვსე“ კვლავ პიკეტირებულია. ტექნიკისა და აუცილებელი პირობების გარეშე დარჩენილი ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს კი უხდებათ დაელოდონ მოვლენების განვითარებას, რომლის ეპიცენტრშიც ახლა უკვე თავად არიან ჩართულები.

ანა ურუშაძე
სტუდენტი

საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის წინადადება სტუდენტებს კანონში შესატან ცვლილებებზე

პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში თსუ-ის რექტორს გიორგი შარვაშიძეს, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და „აუდიტორია 115“-ის წევრებს 28 ნოემბერს შეხვდა. შეხვედრის შედეგად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს მოამზადებს. ცვლილებები ორი პრინციპის — სტუდენტების თანასწორობის უფლების დაცვისა და საფაკულტეტო საბჭოებში სტუდენტების პირდაპირი წესით არჩევის მიმართულებით განხორციელდება. 5 დეკემბერს სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართება. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტური წარმომადგენლობების ოპტიმალური ფორმის შესარჩევად იგეგმება მსოფლიოში წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილების შესწავლა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოწვევა. პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა ვარაუდი გამოთქვა, რომ კანონში შესატან ცვლილებებს პარლამენტს უკვე საგაზაფხულო სესიების დროს წარუდგენენ.

„საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი გვქონდა „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებთან. მანამდე შევხვდი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს. მიმაჩნია, რომ სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა. ასევე, უნივერსიტეტის მართვისა თუ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მონაწილეობისთვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ცვლილებების განხორციელება. ამისთვის არსებულ რეგულაციებში სტუდენტური თვითმმართველობისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მართვის საკითხებთან დაკავშირებით არაერთი ცვლილება დაიგეგმება. ამიტომ სამუშაო პროცესი უფრო ფართო ფორმატში უნდა გაგრძელდეს, ყველა დაინტერესებული მხარე უნდა ჩაერთოს. მზად ვარ მედიატორის როლი შევასრულო. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პირველი შეთანხმება უკვე მიღწეულია და 5 დეკემბერს, კომიტეტის გაფართოებული სხდომის ფორმატში, სამუშაო პროცედურებზე შევთანხმდებით, დავიწყებთ „აუდიტორია 115“-ის და სხვა მხარეების საკანონმდებლო ინიციატივების განხილვას. ჩემი პრინციპული თანხმობა, ბუნებრივია, არ ნიშნავს, რომ კომიტეტის სხვა წევრების თანხმობაც გარანტირებულია. ჩვენ გვინდა, ეს პროცესი საერთაშორისო გამოცდილების და სხვადასხვა მოდელების ანალიზის ფონზე წარიმართოს, რაც საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის კარგი პრეცედენტი გახდება. მანამდე კი ვთხოვ სტუდენტებს, გავაგრძელოთ კონსტრუქციულ რეჟიმში მუშაობა, გარკვეული პაუზა აიღონ ან შეაჩერონ პროტესტი, რათა სტუდენტებს სწავლის შეუფერხებელი გაგრძელების საშუალება მიეცეთ.

შეხვედრა „აუდიტორია 115“-ის წევრებთან

აქვე დავამატებ, რომ არაერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი უკვე გადაიდგა თსუ-ის რექტორატის მხრიდან, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური რესურსების მართვის ცვლილებებთან, შემუშავდა განვითარების სტრატეგიის უპრეცედენტო გეგმა, გარე რეფერირების კუთხით უკვე პროგრესული სიახლეებია... ზოგადად, სტუდენტების მხრიდან გაჟღერდა თხოვნა, რომ არსებული გადაწყვეტილებები არ მოიცავდეს მხოლოდ კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელს და რომ სტუდენტთა უფლებების დასაცავად გარანტიები საკანონმდებლო დონეზე შეიქმნას“, — განაცხადა პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა.

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე მუშაობისას დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლების, სტუდენტების, ექსპერტების ფართო ჩართულობის გარდა, თსუ-ის რექტორის ინფორმაციით, იგეგმება სტუდენტური რეფერენდუმის ჩატარებაც, რაც პროცესებში სტუდენტთა მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფს. გიორგი შარვაშიძემ, ასევე, იმედი გამოთქვა, რომ „აუდიტორია 115“ გადაინაცვლებს კონსტრუქციული მოლაპარაკებების ფორმატში და თსუ-ის მე-6 კორპუსში სასწავლო პროცესი აღდგება.

„შეხვედრაზე სერიოზული საკითხები განვიხილეთ სტუდენტურ ჯგუფებთან ერთად. აქ საკამათო საკითხები ნაკლებად არის, პრინციპულ დონეზე ვთანხმდებით — ყველა სტუდენტს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობების რეალიზების თანაბარი საშუალება. რაც შეეხება იმას, თუ რა ფორმით განვახორციელებთ ამას, ეს არის ის საკითხი, რომელიც გაფართოებული კომიტეტის სხდომებზე განიხილება. არ ვსაუბრობთ მხოლოდ ერთ უმაღლეს სასწავლებელზე, საუბარია რეფორმაზე, რომლის განხორციელებაშიც მაქსიმალურად უნდა ჩაერთონ სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამოქალაქო სექტორი... ეს გახლავთ აუცილებელი და კარგი პრაქტიკა.

ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს თეორიული ლექციები უტარდებათ სხვა აუდიტორიებში. თუმცა, მე-6 კორპუსში განთავსებულია რამდენიმე აუდიტორია, რომლებიც სპეციალურად პრაქტიკული კურსების შესასწავლად არის აღჭურვილი და იმედია, „აუდიტორია 115“ მოხსნის პიკეტს და ასეთი აუდიტორიების დანიშნულების შესაბამისად გამოყენება მალე გახდება შესაძლებელი“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის თავმჯდომარესთან შეხვედრის ორგანიზება 26 ნოემბერს თსუ-ის რექტორისა და „აუდიტორია 115“-ის შეხვედრაზე გადაწყდა. შეხვედრა მე-6 კორპუსში გაიმართა, სადაც სტუდენტები გიორგი შარვაშიძეს უნივერსიტეტში არსებული პრობლემების, საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობის შესახებ ესაუბრნენ. თავის მხრივ, თსუ-ის რექტორმა „აუდიტორია 115“-ის წევრებს იმ ცვლილებების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც უნივერსიტეტში უკვე დაწყებულია. იგულისხმება აკადემიური კონკურსების ჩატარების ახალი წესი, რომელიც 2017 წლიდან ამოქმედდება და რომელიც პირდაპირ კავშირშია უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის ზრდასთან.

[redacted]

შეთანხმების მიუხედავად, „აუდიტორია 115“-მა თსუ-ის მე-6 კორპუსის დატოვების გადაწყვეტილება არ მიიღო. სტუდენტები პიკეტს მხოლოდ მას შემდეგ მოხსნიან, თუ ცვლილებების განხორციელება რეალურად დაიწყება.

„შეხვედრის შედეგები ასეთია: ქალბატონი მარიამ ჯაში ეთანხმება ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საუნივერსიტეტო ფინანსებზე ყველა სტუდენტს თანაბარი წვდომა უნდა ჰქონდეს. 1 იანვრიდან თსუ-ში ყველა სტუდენტს ექნება შესაძლებლობა — საუნივერსიტეტო გრანტი მოიპოვოს ნებისმიერი ტიპის პროექტისთვის. თანხებს ადმინისტრაცია პრივილეგირებულად აღარ გასცემს (ფორმალურად მაინც). კომიტეტის თავმჯდომარე ემხრობა ამ პრინციპის ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვასაც. ასევე, მთელი მსოფლიოს მსგავსად, გვეთანხმება, რომ ფაკულტეტის საბჭოს წევრები სტუდენტებმა თანასწორი მონაწილეობისა და პირდაპირი კენჭისყრის გზით უნდა აირჩიონ. ვთანხმდებით, რომ კანონში ამ მიმართულებითაც ცვლილებებია განსახორციელებელი. 5 დეკემბერს გაიმართება საკომიტეტო მოსმენა სტუდენტთა საუნივერსიტეტო პროცესებში მონაწილეობის ფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ. სხდომაში ყველას, გარეშე პირებსაც ექნებათ მონაწილეობის მიღების უფლება. მთავარი პრობლემა: ქალბატონ მარიამ ჯაშს მიაჩნია, რომ კომიტეტის ეგიდით უნდა შეიქმნას სამუშაო

მე-5 გვერდზე

საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის წინადადება სტუდენტებს კანონში შესატან ცვლილებებზე

მეოთხე გვერდიდან

ჯგუფი, რომელიც მოუსმენს ყველას და შეისწავლის საერთაშორისო გამოცდილებას. სამუშაო ჯგუფის მრავალთვიანი საქმიანობის შემდეგ არსებობს შანსი, რომ საგაზაფხულო სესიაზე ცვლილებები შევიდეს კანონში. დღეს არავინ იცის, ეს ცვლილებები როგორი იქნება“, — აცხადებს „აუდიტორია 115“-ის წევრი ლევან ლორთქიფანიძე.

ამავდროულად, „აუდიტორია 115“ გამორიცხავს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებთან თანამშრომლობას: „საბოლოოდ შევთანხმდით, რომ 5 დეკემბერს გაიმართება კომიტეტის ფართო სხდომა ,,უმაღლესი განათლების შესახებ” კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც გაცნობითი ხასიათის იქნება. განხილვა მოეწყობა საჯაროდ, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს შეეძლება დასწრება. თუმცა, უშუალოდ მოლაპარაკებების პროცესი წარიმართება ,,აუდიტორია 115”-სა და კომიტეტს შორის, რაც გამორიცხავს ჩვენი და სტუდენტური თვითმმართველობის თანამშრომლობას“, — აღნიშნულია „აუდიტორია 115“-ის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებაში მონაწილეობისა და ნებისმიერ დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვეს, თუმცა მიიჩნევენ, რომ ის, რაც შეიძლება შიდა დებულების დონეზე უკვე გადაწყვეტილია, ხელახალი განსჯის საგანი არ უნდა გახდეს.

შეხვედრა სტუდენტური თვითმმართველობის წევრებთან

„ჩვენი მიზანია, შევქმნათ უფრო ჯანსაღი გარემო სტუდენტური ცხოვრებისთვის, რაშიც იგულისხმება მეტი საგანმანათლებლო პროექტი, რითაც შევქმნით მეტ პრაქტიკას, მეტ გამოცდილებას და გვექნება პროფესიულად განვითარების უკეთესი შესაძლებლობა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ ადამიანთან საქმიანი დიალოგისთვის, რომლის მიზანიც იქნება შედეგზე ორიენტირებული სამომავლო საქმიანობა და არა პოპულიზმი. მნიშვნელოვანია ის, რომ სამუშაო რეჟიმში არ უნდა მოხდეს იმ საკითხებზე მსჯელობა, რომელიც უკვე შეცვლილია, მაგ: დაფინანსების თანაბარი სისტემის დეკლარირების პროცესი, რომელიც უმოკლეს ვადაში დაიწყებს ფუნქციონირებას; საფაკულტეტო საბჭოში არჩევის პირდაპირი წესი, რის საფუძველზეც ჩატარდა მე-6 მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები და სხვა. კარგი იქნება, თუ გავითვალისწინებთ ერთ მომენტს — როდესაც გვინდა ცვლილება და კონკრეტული შედეგი შეიძლება უფრო მარტივი გზებით დადგეს, არ უნდა ვეძებდეთ რთულს გზას, რათა ძირითად მიზნად გამოჩნდეს საქმე და არა პოპულისტური განცხადებები“, — აღნიშნა ბახვა კვირიკაშვილმა.

ნატო ოგოლაძე

საჯარო ლექცია



„ხუმრობით სერიოზულზე და სერიოზულზე ხუმრობით“

ილია თავხელიძის საჯარო ლექცია მათემატიკაში

***18** ნოემბერს სტუდენტთა ის ნაწილი, რომელსაც მათემატიკისა და მოვლენათა კანონზომიერებებისადმი განსაკუთრებული ინტერესი აქვს, პირველი კორპუსის 214-ე აუდიტორიაში შეიკრიბა „ხუმრობით სერიოზულზე და სერიოზულზე ხუმრობით სასაუბროდ“, — სწორედ ასე ერქვა საჯარო ლექციას, რომელიც სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორმა* ILIA თავხელიძემ *წაიკითხა.*

საჯარო ლექცია თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ინიციატივით გაიმართა. როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი, მიხეილ იაკობიძე ამბობს, მათ შეგნებულად შეარჩიეს თსუ-ის პროფესორი, რადგან საჯარო ლექციების წასაკითხად, ძირითადად, გარედან იწვევენ ლექტორებს და ის რესურსები, რაც უნივერსიტეტს გააჩნია, გამოუყენებელი რჩება: „გადავწყვიტეთ, რომ სწორედ ეს რესურსი გამოგვეყენებინა. პირველად პროფესორ თენგიზ გორდეზიანის ლექცია — „დედამიწის გარსები კანონზომიერებიდან პარადოქსებამდე“ ჩატარდა. ჩვენ ვნახეთ, რომ სტუდენტთა ძალიან დიდი ნაწილისთვის ამგვარი ლექციები საინტერესო აღმოჩნდა და ამიტომ, მეორე ლექციისთვის ასევე ჩვენს პროფესორს, ილია თავხელიძეს მივმართეთ. მისი საგანი „მათემატიკის ელემენტები ხელოვნებასა და ბუნებაში“ ძალიან პოპულარულია სტუდენტებში და არჩევანიც არ გაგვჭირვებია. საუბრებმა „ხუმრობით სერიოზულზე და სერიოზულზე ხუმრობით“, დიდი დაინტერესება გამოიწვია“, — აღნიშნა მან.

ლექცია ეძღვნებოდა თემას: „მებიუს-ლისტინგის ზედაპირები და სხეულები და მათი „საოცარი“ გეომეტრიული თვისებები“. ეს იყო მცდელობა, დემონსტრირება მომხდარიყო ხუმრობით ამ უსერიოზულეს საკითხზე, რომელსაც პროფესორი ილია თავხელიძე 1999 წლიდან უტრიალებს და, როგორც თავად ამბობს, ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხს პოულობს, ზოგიერთზე – ვერა.

ზოგადად, ბუნებაში არსებული ფორმები ძალზე შთამბეჭდავია, როგორც სილამაზით, ასევე მრავალფეროვნებით. დღემდე დაუდგენელია, ეს ფორმები განსაზღვრავენ მათთან დაკავშირებულ მოვლენებს თუ პირიქით, ისინი წარმოადგენენ რაღაც მოვლენის „ბუნებრივ“ შედეგს. ამ უაღრესად საინტერესო და გლობალური ამოცანების შესწავლას მათემატიკა გეომეტრიული მიდგომებით ახორციელებს.

ლექციაზე დაისვა კითხვა: ერთი ობიექტის სრულად გაჭრის შემდეგ, რამდენ ობიექტს მივიღებთ? მაგალითად, ერთ პურს თუ სრულად გავჭრით, მივიღებთ პურის ორ ნაჭერს. ასევე — თუ ჩვენ გვაქვს სხეული, რომელიც მარტივად იქმნება ფურცლის ზოლის (ფირფიტის) გადაკეცვით და შეწებებით და ამ სხეულს შუაზე გავჭრით, მივიღებთ ორ ნაწილს. მაგრამ იგივე ფურცლის ერთ მხარეს თუ ერთხელ გადავატრიალებთ, შევაწებებთ და მიღებულ ფიგურას შუაზე გავჭრით, უკვე მივიღებთ ერთ, მაგრამ განსხვავებულ ფორმას. ამის შემდეგ კიდევ ისმის კითხვა: რა მოხდება თუ ფურცლის ერთ მხარეს არა ერთჯერ, არამედ ორჯერ ან სამჯერ გადავატრიალებთ, შევაწებებთ და ისე გავჭრით? ანუ იწყება რაღაც მოვლენათა ჯაჭვის შედგენა, რომელიც საჭიროებს რაღაც კანონზომიერების პოვნას.

ამ საკითხებზე მუშაობა ახლა არ დაწყებულა. XVII საუკუნის დასაწყისში იოჰან კეპლერისა და გალილეო გალილეის გამოკვლევებმა გამოკვეთა ძალზე მნიშვნელოვანი მოსაზრება, რომ ბუნებრივი ობიექტების მოძრაობის ტრაექტორიის შესწავლა მჭიდროდაა დამოკიდებული „კლასიკური კონუსური კვეთების“ (მეორე რიგის წირები) ცოდნაზე. ეს მოსაზრება კიდევ უფრო გამყარდა სერ ისააკ ნიუტონის მიერ მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენის შემდეგ. მოვლენის შესწავლის ნიუტონისეული მიდგომა არსით

ილია თავხელიძე

გეომეტრიული იყო, მაგრამ მოკლე ხანში, მექანიკასა და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კვლევისას, დაიწყო ზოგადად მათემატიკური (ალგებრის, ანალიზის, ალბათობის თეორიის და სხვ.) მეთოდების ფართოდ გამოყენება და ეს პროცესი დღემდე ძალზე აქტიურად მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესს ხელი შეუწყო რენე დეკარტისა და პიერ ფერმას მიერ ანალიზური გეომეტრიის საფუძვლების ჩამოყალიბებამ, რამაც კიდევ უფრო გააფართოვა გეომეტრიული მიდგომების გამოყენება და შესაძლებელი გახადა ანალიზური ფორმულებით გეომეტრიული ფორმებისა და ობიექტების მოძრაობის ტრაექტორიების ჩაწერა.

თუ ცილინდრს სწავლობდა ანტიკური მეცნიერება პლატონიდან და არისტოტელედან მოყოლებული, ილია თავხელიძისთვის საინტერესო ტიპის სხეული 1850-იან წლებში გერმანელი მეცნიერის მებიუსის მიერ იქნა აღმოჩენილი. ლექციაზე პროფესორმა თავხელიძემ სტუდენტებს აუხსნა, როგორ მივიდა იგი მეცნიერული ინტერესის ობიექტამდე. „ეს ამოცანა – რა მოსდის დრეკად ფირფიტას, თავიდან დაისვა ქართული მათემატიკური მეცნიერების პატრიარქის, ნიკოლოზ მუსხელიშვილის მიერ. შემდეგ უკვე ილია ვეკუამ შეცვალა ეს ფორმა და განიხილა ცილინდრი. მისი ფუნდამენტური ნაშრომის დასათაურებაც სწორედ ამას ეხება: „ცილინდრული გარსების თეორია“. ხოლო მე ამ საკითხთან მოვედი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სადაც ვსწავლობდი დიფერენციალური განტოლებების ყოფა-ქცევას სხვადასხვა არეებში. დამაინტერესა — როგორ იცვლება ამონახსნი გეომეტრიული ფორმებიდან დამოკიდებულებაში. ანუ ნიკოლოზ მუსხელიშვილმა განიხილა დრეკადი ფირფიტა (ზოლი), ილია ვეკუა სწავლობდა დრეკად ცილინდრს და დავინტერესდი — რა მოხდება, თუ ცილინდრის ფორმას ამ ახალი ფორმით შევცვლით. ამ კვლევამ გამიყვანა უდიდეს ფრანგ მათემატიკოსზე გასპარ მონჟზე — ეს იყო საფრანგეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გეომეტრი, მისმა ნაშრომებმა დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ ეს ფიგურები – განზოგადებული მებიუს-ლისტინგის სხეულები — ჩამეწერა ფორმულების საშუალებით. ამ სხეულების სეპარაციის, დანაწევრების იდეა სწორედ გასპარ მონჟიდან წამოვიღე. თუმცა, აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ანალიზი ამ ფორმის სხეულებზე ვერ გადადის და მათზე ანალიზი სხვაგვარადაა შესაქმნელი, რადგან ამ გეომეტრიულ ფორმებს თავისი შინაგანი თვისება აღმოაჩნდა. როგორ შემოვიტანოთ მასზე მათემატიკური ანალიზი, ეს მომავლის საქმეა“, — განაცხადა მან.

ეს თემა არა მხოლოდ მათემატიკის კუთხიდანაა აქტუალური. ლექციაზე ითქვა, რომ ამ საკითხების კვლევამ შექმნა დიდი სამეცნიერო გაერთიანება, რომელშიც ქართველ მეცნიერებთან ერთად ჩართულია იტალიელი, ბელგიელი, ფრანგი, იაპონელი, პორტუგალიელი, ჰოლანდიელი და აზერბაიჯანელი მეცნიერები. მაგალითად, ბელგიელი მეცნიერი იოჰან ჰილისი, ამ ფორმების შესწავლასთან ბოტანიკიდან მოვიდა. იგი დააკვირდა, რომ ყველა მცენარის ჭრილს აქვს სიმეტრიულისკენ მიდრეკილი ფორმები. მან შეძლო ე.წ. სუპერფორმულის და-

მე-11 გვერდზე

ერთი ნაბიჯით ახლოს აფხაზეთთან

სიახლეები ქართულ-აფხაზურ სამეცნიერო ურთიერთობებში

საგამომცემლო, მთარგმნელობითი, საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი — თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევით ცენტრში კომპლექსური მუშაობა აფხაზ სპეციალისტებთან ერთად მიმდინარეობს. აფხაზური ენციკლოპედია, რადიო, ბიბლიოთეკა, მუზეუმი... დაგეგმილია პროექტები, რომელიც აფხაზეთან ერთი ნაბიჯით გვაახლოებს. სიახლეებია სტუდენტებისთვისაც – თუ რატომ და როგორ შეიძლება ისწავლონ აფხაზური ენა.

ქართულ-აფხაზურ სამეცნიერო ურთიერთობებში არსებულ სიახლეებზე, ასევე, ხელის შემშლელ თუ ხელშემწყობ ფაქტორებზე თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის თანამშრომლებს ვესაუბრეთ.

? *თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის საბჭოს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აფხაზური ენციკლოპედიის შექმნა. ამ დროისთვის რა ეტაპზე იმყოფებით?*

ზურაბ შენგელია,
თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი:

— ჩვენ ახალი პროგრამის განხორციელება დავიწყეთ, რომლის მიზანია აფხაზური ეთნო-კულტურული სივრცის აღწერა, რაც აფხაზური ენციკლოპედიის შექმნის წინაპირობა გახდება. პროექტს ერთობლივად ახორციელებს თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტი" და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აფხაზური ენისა და კულტურის კომისია. პროგრამაში მონაწილეობის სურვილი აფხაზური მხარის წარმომადგენლებმაც გამოთქვეს და შევთანხმდით ორ პრინციპზე — 1. თავდაპირველად ვიმუშავებთ ენციკლოპედიური ლექსიკონების, მაგალითად, აფხაზური ფოლკლორის ლექსიკონის გამოცემაზე. 2. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული ხედვა გვექნება, ორივე ვარიანტს დავბეჭდავთ, რომლებიც დასაბუთებული იქნება არგუმენტებითა და წყაროებით. აფხაზეთში მივლინებით იმყოფებოდნენ ჩვენი თანამშრომლები თეო გიცბა და ესმა კოკოსკერია. მათ მოიძიეს მასალები და უკვე წლის ბოლოსთვის გამოსაცემად ვამზადებთ ფოტოალბომს ,,აფხაზები ერმაკოვის შემოქმედებაში". ასევე, ვგეგმავთ ლეო შერვაშიძის მიერ შექმნილი აფხაზ თავად-აზნაურთა საგვარეულო გერბების ჯერ გამოფენას, შემდეგ კი გამოცემას. იგი გახლდათ საერთაშორისო თავად-აზნაურთა საზოგადოების კანცლერი, რომელსაც უფლება ჰქონდა შეექმნა საგვარეულო გერბები, რასაც დიდი ადგილი უკავია მის შემოქმედებაში.

კარგი იქნება, თუ აფხაზური ეთნოკულტურული სივრცის აღწერის პროექტზე მეტი მხარდაჭერა იქნება. სასურველია ამ პროგრამაში ქართული ენციკლოპედიის აქტიური მონაწილეობა, მისი მასალებისა და პოტენციალის გამოყენება. სანყენია, რომ მათგან (დირექტორი – პრემიერ-მინისტრის პირადი წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე) დაინტერესება არ ჩანს. ჩვენ მაინც ვაგრძელებთ მუშაობას, თუმცა მათი აქტიური თანამონაწილეობის შემთხვევაში პროგრამა გაცილებით სწრაფად ამუშავდებოდა.

? *თქვენ, ასევე, მართავთ გამოფენებს აფხაზეთის თემაზე, გეგმავთ თსუ-ში აფხაზური მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გახსნას. რა ექსპონატები გაქვთ და რა სახის ლიტერატურა იქნება აფხაზური ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში?*

ზურაბ შენგელია,
თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი:

— შეიძლება წელსვე მოვახერხოთ „აფხაზური კუთხის" დაფუძნება, რომელიც „აფხაზური ოთახის", შემდეგ კი აფხაზური მუზეუმის სახეს შეიძენს. მუშაობა ამ მიმართულებით დავიწყეთ, უკვე გვაქვს აფხაზეთში შეძენილი აფხაზური ჩოხები, აფხაზური კვერთხი – ალაბაშა, რომელიც გვარის უფროსის კუთვნილებაა და, მაგალითად, თუ იგი რაიმე შეხვედრაზე ვერ ნავიდოდა, ალაბაშას გზავნიდა, რაც ნიშნავდა, რომ შეხვედრის იდეას, თემას ეთანხმებოდა. გვაქვს, ასევე, მასალები გამოფენიდან „აფხაზეთი დღეს", სადაც წარმოდგენილი გვქონდა სურათები, სუვენირები, გამოცემები, ანუ ის ყველაფერი, რაც დღეს აფხაზეთის ქუჩებში იყიდება.

ლეილა ავიძბა,
თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი სპეციალისტი:

— აფხაზეთში მუდმივად დავდივარ როგორც მივლინებით, ასევე, ჩემი სურვილით, რადგან მთელი ჩემი ოჯახი იქ ცხოვრობს. გამოფენისთვის — „თანამედროვე აფხაზეთი" — უამრავი ფოტო ჩამოვიტანეთ. რაც მთავარია, ჩამოგვაქვს იქ გამოცემული გაზეთები, ჟურნალები, ლიტერატურა. მასალებს გვაწვდიან ჩვენი აფხაზი მეგობრებიც.

ნინო ბერძენიშვილი,
თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე:

— ახლა ვაპირებთ მეორე გამოფენის მოწყობას აფხაზეთის ეთნო-კულტურის თემაზე. მაგალითად, წარმოვადგენთ ექსპოზიციას ლიხნის სახალხო კრების შესახებ. ლიხნის სახალხო კრებაზე იკრიბებიან უხუცესები და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დღესაც სავალდებულოა აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული ადამიანებისთვის.

რაც შეეხება ბიბლიოთეკას, ჩვენ დიდი ხანია აფხაზურ მხარესთან მჭიდრო კონტაქტი გვაქვს. აფხაზეთში საგამომცემლო საქმიანობა დაბალ დონეზეა (ძირითადად რუსეთში ახერხებენ წიგნების ბეჭდვას), თუმცა ვცდილობთ, რაც გამოდის, ჩამოვიტანოთ. ამ დროისთვის საკმაოდ მდიდარი წიგნადი ფონდი გვაქვს. აფხაზეთში არიან ადამიანები, რომლებიც ისტორიას ხელახლა წერენ. ეს ძალიან საინტერესო მასალაა იმ ადამიანებისთვის, ვინც არა მარტო ქართულ-აფხაზური კონფლიქტით, არამედ აფხაზეთის ისტორიითაც არის დაინტერესებული. მალე მზად იქნება ელექტრონული კატალოგი. ვფიქრობ, ამ საკითხით განსაკუთრებით საუნივერსიტეტო საზოგადოება უნდა დაინტერესდეს.

? *როგორც ვიცით, თქვენთან აფხაზური საზოგადოების რამდენიმე წარმომადგენელი თანამშრომლობს. რას ფიქრობს აფხაზთა ნაწილი ისტორიის გადაწერილ ვარიანტზე?*

ნინო ბერძენიშვილი,
თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე:

— რა თქმა უნდა, განსხვავებული აზრი არსებობს, აფხაზთა ნაწილს არ მოსწონს ისტორიის გადაწერილი ვარიანტი, თუმცა იქ არსებული ვითარების გათვალისწინებით, ამის შესახებ წარმოუდგენელია ხმამაღლა განაცხადო. გმირობას ვერავის მოსთხოვ.

? *როგორ აპირებთ აფხაზური რადიო „ჰარა"-ს აღდგენას, რომელმაც 2008 წელს შეწყვიტა ფუნქციონირება...*

ნინო ბერძენიშვილი,
თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე:

— კონფლიქტის რეგულაციის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი საზოგადოების ინფორმირებაა, მათ შორის ენგურს მიღმა დარჩენილი საზოგადოებისაც. ჩვენ გვქონდა აფხაზურენოვანი რადიო და ვიცით, მას რამხელა ძალა აქვს. აფხაზი ხალხი უკვე წლებია იმყოფება რუსული პროპაგანდისტული წნეხის ქვეშ და ესეც ნათელს ხდის — მედიას რამდენად დიდი როლი აქვს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში.

ზურაბ შენგელია,
თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი:

— რადიო „ჰარა"-მ 2008 წელს ფუნქციონირება შეწყვიტა ობიექტური მიზეზების გამო. „ჰარა" აფხაზური სიტყვაა და ნიშნავს „ჩვენ". ახლა აფხაზეთში უკვე არსებობს ინტერნეტი და ამჟამად ინტერნეტ-რადიოს გაკეთებას ვაპირებთ. აფხაზურ საზოგადოებას მივაწვდით ობიექტურ ინფორმაციას, რის ნაკლებობასაც ისინი განიცდიან. ეს იდეა მოეწონა საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის წარმომადგენლობას და რადიოსთვის საჭირო ტექნიკის გადმოცემას შეგვპირდნენ. სავარაუდოდ, აპარატურას წელსვე მივიღებთ.

? *კონფლიქტის კვალიფიციურად გაშუქების მიზნით თქვენ ჩაატარეთ ტრენინგი ქართველი ჟურნალისტებისთვის. რომელი მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა და როგორ წარიმართა ტრენინგი?*

ნინო ბერძენიშვილი,
თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე:

— კონფლიქტის გაშუქებას სჭირდება გარკვეული ცოდნა და გამოცდილება. ქართველი ჟურნალისტები საკმაოდ სერიოზულ შეცდომებს უშვებდნენ მოვლენების შეფასებისას. ჩვენ და „საქართველოს რეფორმათა ასოციაციამ" ერთობლივად გადავწყვიტეთ ტრენინგის ჩატარება, რომელსაც თითქმის ყველა მედიასაშუალების წარმომადგენელი ესწრებოდა, იყვნენ ბლოგერებიც. თემა გახლდათ — „კონფლიქტი აფხაზეთში და მისი ისტორია". ტრენინგი 8 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჟურნალისტებს მივაწოდეთ ინფორმაცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ისტორიის, აფხაზური ენის, ეთნოსის, ტრადიციების და ა.შ. შესახებ. მზარდი ინტერესის გამო მეორე ტრენინგიც ჩავატარეთ. ტრენინგის მასალები „საქართველოს რეფორმათა ასოციაციის" ვებ-გვერდზეა განთავსებული.

? *თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწევა. რამდენად დიდია ინტერესი აფხაზური ზეპირმეტყველების კურსების მიმართ?*

ლეილა ავიძბა,
თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი სპეციალისტი:

— აფხაზური ზეპირმეტყველების კურსებზე მიღება წელიწადში ერთხელ ცხადდება. კურსები უფასოა და ნებისმიერ მსურველს შეუძლია დასწრება. მიუხედავად აფხაზური ენის სირთულისა, საზოგადოებაში დიდი დაინტერესებაა. სხვათა შორის აფხაზური ენა საინტერესო აღმოჩნდა განსხვავებული პროფესიის ადამიანებისთვის. ფილოლოგებისა და ლინგვისტების გარდა, დაინტერესდნენ საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინფორმატიკის მიმართულების სტუდენტებიც. კურსებისთვის სპეციალურად გამოვეცით აფხაზური ზეპირმეტყველების გაკვეთილები აუდიო ვერსიასთან ერთად. კურსდამთავრებულების ნაწილს კავშირი აქვს აფხაზ თანატოლებთან. რა თქმა უნდა, აფხაზების რეაქცია არაერთგვაროვანია — არის ნეგატიურიც, ნეიტრალურიც, თუმცა, ნებისმიერი ადამიანისთვის სასიამოვნოა, როდესაც მშობლიურ ენაზე ესაუბრები.

ზურაბ შენგელია

ნინო ბერძენიშვილი

აფხაზური ზეპირმეტყველების კურსებთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩაიხანა"-ს ფარგლებში რეჟისორმა ქეთი გიგაშვილმა დოკუმენტური ფილმი „აფხაზური გაკვეთილები" მოამზადა.

? *ცენტრის ფარგლებში რა მთარგმნელობითი სამუშაოები მიმდინარეობს?*

ესმა კოკოსკერია,
თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი სპეციალისტი:

— თითქმის ყველა სახელმწიფო უწყების ვებ-გვერდი ქართულ, ინგლისურ და აფხაზურ ენებზე მუშაობს. ჩვენ უზრუნველვყოფთ აფხაზურ ენაზე თარგმნას. ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციასაც აფხაზურ ენაზე ვთარგმნით. პარალელურად მე და ლეილა ავიძბა საზოგადოებრივი მაუწყებლის აფხაზურენოვანი „მოამბის" მთავარი რედაქტორები ვართ.

? *საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის მხრივ რა სიახლეებია?*

ლეილა ავიძბა,
თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი სპეციალისტი:

— წელს მოლდოვაში ვიმყოფებოდით მე და ესმა კოკოსკერია, სადაც აფხაზ მწერლებსა და ლინგვისტებს შევხვდით. მივლინება არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის" ფარგლებში განხორციელდა. შეხვედრის მიზანი პროექტის — „აფხაზური ენის დაცვა აფხაზების და ქართველების მიერ" — განხორციელებაა, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება – აფხაზური ენის კორპუსის შექმნა და ქართველი და აფხაზი მწერლების ესეების ორენოვანი კრებულის გამოცემა.

ასევე, ვმონაწილეობდით სემინარში „კავკასიურ ენათა ლექსიკური და ტიპოლოგიური მრავალფეროვნება. მოცულობითი მონაცემთა ბაზის კოდირების მეთოდები და მოდელები", რომელიც შვედეთში ლუნდის უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ცენტრსა და მალმოს უნივერსიტეტის ენისა და ლინგვისტიკის (კავკასიათმცოდნეობა) განყოფილებაში გაიმართა. შედეგად შეიქმნა აფხაზური ენის მცირე ბაზა, რომელიც ლუნდის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეა განთავსებული.

აღსანიშნავია ევროსაბჭოს პროექტი „სინქრონული თარგმანის ტრენინგი სპეციალისტებისთვის თბილისიდან და სოხუმიდან". აფხაზური ენის 5-მა სპეციალისტმა თბილისიდან და 5-მა სპეციალისტმა სოხუმიდან ამ მიმართულებით კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გავიარეთ. აფხაზური ენის სინქრონული თარგმანის სპეციალისტების მოძიება რთულია, ამიტომ ასეთი სახის პროექტებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგადად, ვცდილობთ, ჩვენი მოღვაწეობის არეალი გავაფართოვოთ. სასიამოვნოა, რომ ჩვენი ცენტრის შესახებ იციან და გვიწვევენ მსგავსი პროექტების განხორციელებისას.

მოამზადა
ნატო ოგოლაძემ

როგორ იქცა ლევილი სამეცნიერო-კულტურულ ცენტრად?

17 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დიასპორას საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გამართულ კონფერენციას, „ქართული დიასპორა — დღევანდელობა და გამოწვევები“ — უმასპინძლა. ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის, საპატრიარქოსა და ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენლები, უცხოელი სტუმრები.

ლევილის მამული

მაია ტორაძე

კონფერენციის მიზანი იყო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა დიასპორას წინაშე არსებულ პრობლემატიკაზე. ფორუმის მონაწილეებმა სხვადასხვა თემატურ ჯგუფებში ისაუბრეს დიასპორებთან ეფექტურ თანამშრომლობაზე, განათლებისა და მეცნიერების საკითხებისადმი ახალგაზრდობის დამოკიდებულებაზე, სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ქართული საკვირაო სკოლების სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისთვის, ქართული ენის სწავლების საკითხებზე უცხოეთში. ფორუმის მონაწილეებმა ასევე იმსჯელეს უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მეცნიერებთან ერთობლივი სამეცნიერო კვლევების მნიშვნელობაზე, საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და დიასპორასთვის ამ გარემოში დამკვიდრების შესაძლებლობებზე.

ფორუმის მონაწილეებს მიესალმნენ თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, დიასპორას საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მისიის ხელმძღვანელი საქართველოში ილიანა დერილოვა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) წარმომადგენელო საქართველოში ზურაბ ყორღანაშვილი.

თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ლევილის მამულის საქართველოსათვის გადმოცემაში შეტანილი წვლილისთვის და უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის ივანე ჯავახიშვილის მედლებით სახელმწიფო მინისტრი დიასპორას საკითხებში გელა დუმბაძე და საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი დააჯილდოვა.

„მადლიერებით აღვნიშნავ, რომ უნივერსიტეტს რამდენიმე უნიკალური კოლექცია გადმოეცა. მათ შორის, უნდა გამოვყო ბატონი ტიერი ბერიშვილი, რომლის ძალისხმევითაც უნივერსიტეტს გადმოეცა მამამისის, მამია ბერიშვილის არქივი, რომელიც საშუალებას მისცემს ჩვენს დოქტორანტებსა და მკვლევრებს, რომ ღრმად შეისწავლონ ის უახლესი ისტორია, რომელიც გაგვაჩნია. ჩვენ კიდევ ერთი ვალი გვაქვს გადასახდელი ამ ადამიანების წინაშე — ჩვენი მკვლევრები და ისტორიოგრაფები ჩაებმებიან იმ პროცესში, რასაც ჰქვია საბჭოთა ისტორიოგრაფიის კლიშეების მოცილება პირველი რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებისთვის, რითაც აღდგება ისტორიული სამართლიანობა“, — აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ფორუმის ის სექცია, რომელზეც ისაუბრეს ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემაზე და მის მომავალზე.

ლევილი – ქართული კულტურის მცველი

საფრანგეთში, პარიზიდან 26 კილომეტრში მდებარეობს ულამაზესი სოფელი ლევილ-სიურ-ორჟი, იგივე ლევილი.

ეს ადგილი გასული საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს პირველი რესპუბლიკის დევნილი მთავრობის თავშესაფარი და ძვალთშესალაგი გახდა. აქ ინახებოდა საქართველოდან 1921 წელს გატანილი განძეულობის ნაწილი, მათ შორის ბორჯომის და ლიკანის სასახლეებიდან წაღებული უძველესი სურათები, რომლებიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული, აქ ცხოვრობდა „გრაალის მცველი“ ექვთიმე თაყაიშვილი, აქ დაიდო ბინა ქართულმა სულმა მას შემდეგ, რაც სამშობლოდან გადახვეწილმა და განდევნილმა ადამიანებმა თავშესაფარი ჰპოვეს.

ამ ადგილს თავისი ისტორია აქვს. 1922 წელს პარიზში მყოფმა საქართველოს დევნილმა მთავრობამ საკუთარ სახელზე, მაგრამ სახელმწიფოს სახსრებით, ლევილში მამული შეიძინა და იქ დასახლდა. მამულის ცენტრალურ ადგილას დგას 3 სართულიანი შატო (ციხე-სიმაგრე), სადაც ცხოვრობდნენ ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, აკაკი ჩხენკელი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა გამოჩენილი ქართველები.

ლევილის მამული, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო თანხებით იყო შეძენილი, ძალიან დიდხანს იყო კერძო მფლობელობაში, რადგან, საბჭოთა კავშირი პრეტენზიას აცხადებდა მის მიერ ოკუპირებული რესპუბლიკების კერძო საკუთრებებზე მსოფლიოს მასშტაბით. დევნილმა ხელისუფლებამ, იმის მოლოდინში, რომ ოდესმე საქართველო თავად შეძლებდა საკუთარი ტერიტორიის განკარგვას, მამული გააფორმა, როგორც კერძო საკუთრება, რამაც ეს ტერიტორია გადაარჩინა და საქართველოს შემოუნახა.

ნოე ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ დანარჩენმა მფლობელებმა გადაწყვიტეს, რომ მამული აუცილებლად გადმოეცემოდა საქართველოს მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებლობას მოიპოვებდა. ამ ფაქტის დამადასტურებლად არსებობს მათი ანდერძიც, რომელსაც ხშირად „სინდისის ანდერძსაც“ უწოდებენ. თავდაპირველად ლევილს 7 მფლობელი ჰყავდა. ბოლო დროს კი იგი 5 ოჯახის მფლობელობაში იყო.

25 წლის წინ დაიწყო მოძრაობა მამულის დასაბრუნებლად. ჩატარდა სადიაგნოსტიკო სამუშაოები, რომელიც საქართველოს მთავრობამ დააფინანსა.

2011 წლის 23 მაისს საზეიმოდ მოეწერა ხელი მემორანდუმს „ლევილის მამულის საქართველოსთვის გადაცემის შესახებ“. ამ მემორანდუმით საქართველოს მთავრობამ ვალდებულება აიღო, რომ ლევილი, როგორც კულტურულ-ისტორიული ცენტრი, უფრო მეტად განავითაროს და არ შეუცვალოს კულტურული ცენტრის დანიშნულება.

2016 წლის 23 სექტემბერს მამული ოფიციალურად გადმოეცა საქართველოს. გადმოცემის აქტს საქართველოს მთავრობის მხრიდან ხელი მოაწერა დიასპორას საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ, ხოლო ფრანგული მხარიდან ხელმომწერნი იყვნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) მთავრობის წევრთა ოჯახების წარმომადგენლები — ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, აკაკი ჩხენკელის, სამსონ ფირცხალავას, ევგენი გეგეჭკორის შთამომავლები. ისტორიული აქტის ხელმოწერის ცერემონიას საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგი გიგიაძე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკაში — ეკატერინე სირაძე-დელონე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი საფრანგეთში — გოჩა ჯავახიშვილი, ქ. ლევილის მერიისა და ქართული დიასპორას წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გადაწყდა, რომ საფრანგეთის ქართული მიწა ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტების, მეცნიერებისა და მკვლევრებისთვის. ამავე ტერიტორიაზე იქნება ბიბლიოთეკა, არქივი და მუზეუმი, რომელიც მომავალ თაობებს 1918-1921 წლების პირველი რესპუბლიკის ისტორიას გააცნობს. აქვე შეიქმნება ქართული აკადემია, რომლის ფარგლებშიც ქართველ მეცნიერებს ექნებათ საშუალება — დაჰყონ იქ გარკვეული დრო.

„მკვლევრებისთვის, სტუდენტებისთვის, მხატვრებისთვის, მუსიკოსებისთვის გამოიყოფა განსაზღვრული სივრცე. მათ შორის საცხოვრებელი ოთახები, სადაც შეეძლებათ, რომ დარჩნენ და იმუშაონ. ამას ექნება ძალიან დიდი მნიშვნელობა საფრანგეთსა და საქართველოს შორის კულტურული, მეცნიერული და სხვა მიმართულებით თანამშრომლობის განვითარებისთვის“, — განაცხადა მამულის გადმოცემის შემდეგ მედიასთან საუბარში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

„ჩვენ იმ დოკუმენტში, რომელსაც ხელი მოვაწერეთ, ჩავწერეთ, რომ ლევილში არ იქნება არავინ, გარდა მეცნიერებისა, სტუდენტებისა და ხელოვანებისა, რომლებიც ჩავლენ, იცხოვრებენ როტაციის პრინციპით მათთვის გამოყოფილ ოთახებში და იმუშავებენ იმ მდიდარ არქივზე, რომელიც ლევილში ინახება. მის მართვაში კი, საქართველოს მთავრობასთან ერთად, ჩართული იქნებიან ქართული დიასპორას წარმომადგენლები — ქალბატონი ირენ ციციშვილი და ბატონი ტიერი ბერიშვილი, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მამულის საქართველოსთვის გამოცემის საქმეში“, — აღნიშნა თეა წულუკიანმა, რომელმაც დიასპორას სხვა წარმომადგენლებთან ერთად განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ლევილის მერს ერიკ ბრევის და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან დესპანს საფრანგეთის რესპუბლიკაში გოჩა ჯავახიშვილს.

ლევილი – ხიდი საქართველოსა და საფრანგეთს შორის

შატო ლევილის გადმოცემას მნიშვნელოვან მოვლენად აფასებენ როგორც ქართული დიასპორას, ასევე დიპლომატიური კორპუსისა და ფრანგული მხარის წარმომადგენლებიც.

ტიერი ბერიშვილი, ***ქართველ ხალხთან მეგობრობის ფრანგული კულტურის ასოციაციის – „გაუმარჯოს საქართველოს“ – პრეზიდენტი, საზოგადოება „ქართული კერას“ თავმჯდომარის მოადგილე, ლევილის მამულის გადმოცემასთან დაკავშირებით ყველაზე ძველი ხელმომწერი:***

— ჯერ კიდევ 90-იან წლებში მამაჩემმა გადმოსცა საქართველოს 450 კგ. არქივი, ახლა მე გადმოვეცი უნივერსიტეტს 130 კგ. დარჩენილი არქივი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამან საშუალება მისცა უნივერსიტეტს გაეხსნა პირველი რესპუბლიკის კვლევითი ცენტრი. ეს არქივები კარგად არის დაცული და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. ბედნიერი ვარ, რომ ვმუშაობ ამ კვლევითი ცენტრის თანამშრომლებთან. მათთან ურთიერთობაში მეც ახალგაზრდა მგონია თავი.

ერიკ ბრევი, ***ლევილის მერი:***

— ლევილის საქართველოსთვის დაბრუნებას ქართულ-ფრანგული ურთიერთობის გამყარებისთვის გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად მივიჩნევ. ისტორიულმა პიროვნებებმა, რომლებიც 1921 წელს საქართველოდან ლევილში ჩამოვიდნენ, ძალიან მჭიდრო ურთიერთობები დაამყარეს ლევილის მცხოვრებლებთან და ეს ადგილი დღემდე ინახავს მათ ხსოვნას. შატოს დაბრუნებაში, საქართველოს მთავრობასთან ერთად, დიდი წვლილი შეიტანა ლევილის მერიამ და ფრანგულმა მხარემაც. ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ ლევილი დარჩება როგორც ქართულ, ისე ფრანგულ ნაწილად, რაც ამ ორი ქვეყნის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია. აქ დაგეგმილია არაერთი საინტერესო პროექტის განხორციელება, რაშიც ჩვენი სკოლების მოსწავლეები და ფრანგული მხარეც ჩაერთვება. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ლევილი მოსახლეობისთვის ღიაა და ის ფუნქციას არ შეიცვლის. ჩვენთვის ლევილი არის ხიდი ფრანგებსა და ქართველებს შორის.

გოჩა ჯავახიშვილი,
საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი საფრანგეთის რესპუბლიკაში:

— როგორც იცით, ლევილის მამულის მესვეურთა სურვილი იყო, რომ ის საქართველოს სამსახურში ჩამდგარიყო და მის ცხოვრებაში ჩართული ყოფილიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

რაც შეეხება უნივერსიტეტს, ვფიქრობთ, რომ გავმართოთ ერთობლივი კონფერენციები და ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ფრანგულ-ქართული ურთიერთობების გამყარებას, არამედ ქართული ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციას. ჩვენ ევროპას უნდა ვუთხრათ, რომ დემოკრატია არც გუშინ და არც 90-იან წლებში არ დაგვიწყია. გვქონდა პირველი რესპუბლიკა, რომელიც ეყრდნობოდა გარკვეულ ტრადიციებს და მან დატოვა ისეთი მემკვიდრეობა თავისი რეფორმებით, კონსტიტუციით, ინსტიტუტებით, რომელიც დღესაც აქტუალურია ევროპულ დემოკრატიულ ღირებულებებში, მათ შორის, აგრარული რეფორმა, ქალებისთვის საარჩევნო ხმის უფლების მიცემა, უმცირესობათა საკითხი და ბევრი სხვა.

* * *

ფორუმმა — „ქართული დიასპორა — დღევანდელობა და გამოწვევები“ — მუშაობა დაასრულა.

იწყება ლევილის რეაბილიტაციის რთული გზა და იხსნება ახალი ასპარეზი ქართველი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებისთვის.

გამოფენა „ლევილ-სიულ-ორჟის ქართული მამული 1922-2016“

თსუ-ში 17 ნოემბერს გამოფენა „ლევილ-სიულ-ორჟის ქართული მამული 1922-2016“ გაიხსნა, რომლის ორგანიზატორია თსუ-ის ბიბლიოთეკის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრი.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში დაცული დოკუმენტები, რომლებიც ასახავს ლევილის მამულის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ შესყიდვას, მემკვიდრეობისა და მართვა-გამგებლობის საკითხებს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრთა წერილებსა და პირად დოკუმენტებს, ფოტოკოლაჟს ლევილის მამულისა და იქ მცხოვრები ქართველი პოლიტიკური ემიგრანტების შესახებ.

თამარ დადიანი

ფოტოსურათები ჩვენს თვალწინ აცოცხლებს ლევილის მამულის გადმოცემასთან დაკავშირებულ ცერემონიალს (2016 წ), აქვეა მამულის დაბრუნებისთვის წარმოებული მოლაპარაკებებისა და მისი წევრების, ასოციაცია „ქართული კერას“ პრეზიდენტების ფოტოები. ასევე გამოფენილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის დაბრუნების ცერემონიალის ამსახველი ფოტოები, ლევილში გამართული ღონისძიებების და დღესასწაულების, ლევილის მამულში მცხოვრები პოლიტიკოსთა ოჯახების, ლევილის მამულის მფლობელების ფოტოსურათები.

გამოფენის გახსნაზე თსუ-ის რექტორს გიორგი შარვაშიძეს ასოციაცია „გაუმარჯოს საქართველოს“ (საფრანგეთი) პრეზიდენტმა, „ქართული კერას“ წევრმა ტიერი ბერიშვილმა მამამისის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის წევრის, მამია ბერიშვილის არქივიდან რამდენიმე უნიკალური დოკუმენტი და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლების 70-ზე მეტი ფოტო გადასცა. ტიერი ბერიშვილის თქმით, გადმოცემულ მასალებში ,,სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ოფისის” 1957 წლის ოქმებია წარმოდგენილი. ასევე არის უამრავი ძველი და ახალი ფოტო.

„სულ ცოტა ხნის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში ,,პირველი რესპუბლიკის მუზეუმი” და „პირველი რესპუბლიკის კვლევითი ცენტრი“ გაიხსნა, რომელიც გზას გაუხსნის ქართველ მკვლევრებს საფუძვლიანად შეისწავლონ საქართველოს ისტორიის ურთულესი პერიოდი. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული რესპუბლიკის კვლევით ცენტრთან ურთიერთობას. სწორედ ამ ცენტრის მეშვეობით ითარგმნა ჩემი წიგნი — „1880-1953 წლების ქართული სოციალ-დემოკრატია“, — განაცხადა ტიერი ბერიშვილმა.

„როგორც ლევილის მერი, ჩემი მისიაა, ყველაფერი გავაკეთო, რათა დავეხმარო საქართველოსა და ლევილის ქართულ კერას მათი სურვილის განხორციელებაში, ისე რომ არ დაიკარგოს ფრანგული ისტორიის კვალი“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ქალაქ ლევილის მერმა ერიკ ბრევმა.

ქართული დიასპორას პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის გზებზე გვესაუბრა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მისიის ხელმძღვანელი ილიანა დერილოვა, რომელმაც ხაზი გაუსვა საზღვარგარეთ მყოფთა მხარდაჭერის აუცილებლობას, მათი პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას ქვეყნის განვითარების მიმართულებით. „ქართულ ემიგრაციას უფრო მეტად სოციალური ხასიათი აქვს, რისი მიზეზიც გახდა საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისი, ეთნოკონფლიქტებით და გარდამავალი ეტაპით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

დღეისთვის მსოფლიოს ათობით ქვეყანაშია ქართული დიასპორა. უცხოეთში მცხოვრები ქართველების დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული მიმღები ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამავე დროს, აქტიურ მოღვაწეობას ეწევა ქართული კულტურის პროპაგანდისა და განვითარებისთვის, იქმნება კულტურის ცენტრები, აყალიბებენ ენის შემსწავლელ წრეებს, შემოქმედებით გაერთიანებებსა და ა.შ.

მნიშვნელოვანია მიგრანტული და დიასპორული ორგანიზაციების განვითარების პოტენციალის გამოვლენა, რაც გულისხმობს დიასპორული ორგანიზაციების მიზნობრივ მხარდაჭერას და დაფინანსებას, კონტაქტების დამყარებას იმ ქალაქების და რეგიონების ადგილობრივ ხელისუფლებასთან, სადაც იმყოფებიან საქართველოს მიგრანტები და დიასპორული ორგანიზაციები, რათა მოხერხდეს ამ ორგანიზაციათა მხარდაჭერის ერთობლივი უზრუნველყოფა. უნდა შევიმუშაოთ რეკომენდაციები, რომელიც გააძლიერებს საზღვარგარეთ მყოფთა მხარდაჭერას და მათი პოტენციალის გამოყენებას ქვეყნის განვითარების საქმეში“, — განაცხადა ილიანა დერილოვამ.

გამოფენა თსუ-ში დიასპორას საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული კონფერენციის „ქართული დიასპორა — დღევანდელობა და გამოწვევები” ფარგლებში გაიმართა. ამავე ღონისძიების ეგიდით, უნივერსიტეტის საატო დარბაზის ფოიეში აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების: დავით ბაძაღუას, ნუგზარ მგალობლიშვილის, დავით ჭედიას შემოქმედება გამოიფინა.

„ამ გამოფენით ჩვენ ვადასტურებთ, რომ აფხაზეთი კვლავ ცოცხალია. ჩვენ ვიყავით მეგობრები, ვართ და ვიქნებით! სულ ცოტა ხნის წინ გამოვეცით ორი ალბომი, სადაც ქართველ მხატვრებთან ერთად აფხაზი მხატვრებიც არიან წარმოდგენილნი. მართალია, დღეს აფხაზ კოლეგებთან კომუნიკაცია მხოლოდ სოციალური ქსელებით გვაქვს, მაგრამ, იმედია, მომავალში უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლებთ“, — განაცხადა მხატვარმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა ნუგზარ მგალობლიშვილმა.

სამაგისტრო პროგრამა: ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები

„საქართველოს წარმატებულ ევროინტეგრაციას, შრომითი ურთიერთობების სფეროში უმაღლესი აკადემიური ცოდნის მქონე სპეციალისტთა მომზადებასა და ქვეყანაში შრომითი რეგულაციების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დანერგვას ემსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა: ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები, რომელიც 2013 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს“, — ითქვა 25 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ პროგრამის განახლებულ პრეზენტაციაზე.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, სამაგისტრო პროგრამა — „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“ ინტერდისციპლინური და ინტერსაუნივერსიტეტო პროგრამაა, რომლის ძირითადი მიმართულებებია: ეკონომიკის პოლიტიკა, დასაქმების პოლიტიკა ევროკავშირში, კეთილდღეობის სახელმწიფო ევროპული მოდელები, შრომითი ურთიერთობები და სოციალური დიალოგი, ევროპის საკანონმდებლო რეგულაციები ადამიანის უფლებათა და შრომით ურთიერთობებში და სხვა.

პროგრამის კოორდინატორის, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის იაგო კაჭკაჭიშვილის ინფორმაციით, ამ უნივერსიტეტებში პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ევროკომისიის ტემპუს-ტასისის პროგრამის ფინანსური ხელშეწყობით, რომლის პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა და ხელი მოეწერა ახალ შეთანხმებას.

„ეს პროგრამა უნიკალურია იმითაც, რომ იგი საქართველოში შრომითი ურთიერთობების თანამედროვე ევროპული პოლიტიკის დანერგვას უწყობს ხელს, ამასთან, ეს არის ინტერდისციპლინური, და რაც მთავარია, ინტერსაუნივერსიტეტო ერთობლივი პროგრამა, რაც პირველი პრეცედენტია საქართველოში. უნდა ითქვას, რომ პროგრამას აკრედიტაციის, მისი ხარისხის შემოწმების თუ ადმინისტრირების თვალსაზრისით სირთულეებიც ახლავს, მაგრამ ამ პრობლემების მოგვარებისკენ ნაბიჯები უკვე გადაიდგა და იმედი გვაქვს, რომ ამ სამი უნივერსიტეტის თანამშრომლობა მომავალში უფრო ნაყოფიერი გახდება. დღეს, ასევე, მოვაწერეთ ხელი მომავალი სამწლიანი თანამშრომლობის შესახებ ახალ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კავკასიის უნივერსიტეტთან და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტთან ერთად ვალდებულებას იღებს, რომ ამ ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი ინსტიტუციურად გამყარდეს“, — განაცხადა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

განახლებული პროგრამის პრეზენტაციას დაესწრნენ პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლები და პროგრამის უცხოელი კურატორები, რომლებმაც ერთობლივად დაუჭირეს მხარი ურთიერთთანამშრომლობის გაგრძელებას და საქართველოში შრომის პოლიტიკის ევროპული მოდელების სწორ და თანმიმდევრულ შემუშავებას.

* * *

სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელობაზე თავიანთი მოსაზრება სტუდენტებმაც გაგვიზიარეს.

ოთარ გრიგოლია, ***მაგისტრანტი:***

— ჩემთვის ეს პროგრამა წარმატებული აღმოჩნდა, როგორც სწავლის, ასევე დასაქმების კუთხითაც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ბულგარეთის უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა გახდა იმის გარანტი, რომ ამჟამად დასაქმებული ვარ ჯანდაცვის სამინისტროში, შრომის ინსპექციაში, სადაც ჩემი სპეციალობით ვმუშაობ.

მარიამ ოთიაშვილი, ***ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების მაგისტრი:***

— საინტერესო იყო სწავლის პროცესი, განსაკუთრებით გამოვყოფდი გაცვლით კომპონენტს — მე ბულგარეთის ეკონომიკის სკოლაში გავიარე სასწავლო კურსი, სადაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები გვიკითხავდნენ ლექციებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროგრამაზე სწავლება ქართულენოვანია და, სხვა მიმართულებებისგან განსხვავებით, ნათარგმნი სახელმძღვანელოებიც გვქონდა, თუმცა, პრეზენტაციები ინგლისურად გავაკეთეთ და კვლევის ნაწილიც ინგლისურად დავწერეთ, კვლევა საქართველოშიც ჩავატარეთ. სწორედ ამ სასწავლო პროგრამის ფარგლებში საქართველოს 5 რეგიონი მოვიარე. ჩემი კვლევა ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემებს ეხებოდა და საინტერესო მასალაც დავაგროვე. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ პრობლემაზე დღევანდელ პრეზენტაციაზე ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტმა მაიკლ ქაუგილმაც ისაუბრა. მიხარია, რომ პროექტი გრძელდება და მომავალში სხვა სტუდენტებსაც მიეცემათ საშუალება ამ საინტერესო სამაგისტრო პროგრამაში ჩაერთონ და თავიანთი გამოცდილება პრაქტიკულად განახორციელონ.

შურთხია ბეროშვილი

მორფოლოგიის ინსტიტუტში ხელოვნური გულ-ფილტვის აპარატის გამოყენების იდეაზე მუშაობენ

ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲐ

პირველი გვერდიდან

თსუ-ს მორფოლოგიის ინსტიტუტში ხელოვნური გულ-ფილტვის ახალი აპარატი შეიქმნა, რომელიც გულის უეცარი გაჩერების შემთხვევაში ადამიანის ორგანიზმში სისხლის მიმოქცევას უზრუნველყოფს. აპარატის მთავარი უპირატესობა მისი ორიგინალური კონსტრუქციის სისხლის ტუმბოა, რომელიც ვენური სისტემიდან მიღებული სისხლის ჟანგბადით გამდიდრების შემდეგ არტერიულ კალაპოტში გადატუმბვით გულის ფუნქციას ასრულებს. მსოფლიოს მასშტაბით ანალოგიური აპარატების საკმაოდ ბევრი მოდელი არსებობს, თუმცა ჩატარებული ცდების შედეგად დადგინდა, რომ მორფოლოგიის ინსტიტუტში შექმნილ აპარატს უკეთესი მედიკო-ბიოლოგიური მახასიათებლები გააჩნია. მაგალითად, ტუმბოში გავლისას გამოირიცხება სისხლზე ტრავმული ზეგავლენა, ტუმბოს გააჩნია როგორც ვენური, ისე არტერიული სისხლნაკადის წარმოქმნის შესაძლებლობა, რომელთა პარამეტრები ორგანიზმში სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიურ მახასიათებლებთან მაქსიმალურად მიახლოებულია. ტუმბოს კონსტრუქციაზე გაცემული საქართველოს პატენტის ავტორები არიან მორფოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლები, პროფესორები ნოდარ ხოდელი და ზურაბ ჩხაიძე. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ხელოვნური სისხლის, ხელოვნური გულის, ხელოვნური სისხლმიმოქცევის აპარატების შემუშავების პრობლემებზე მუშაობა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში მიმდინარეობდა კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტში. მოსკოვში ამ პრობლემებზე მომუშავე ორ ცენტრთან ერთად ქართველ მეცნიერთა მიღწევები იმდენად შთამბეჭდავი გახლდათ, რომ 1979 წელს ხელოვნური გულის თემატიკით ჩატარებული საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის პირველი სიმპოზიუმი თბილისში გაიმართა. იდეები, რომლებსაც ახლა მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები ახორციელებენ, სათავეს სწორედ ამ პერიოდიდან იღებს.

ექსპერიმენტული ნიმუში

ორიგინალური ხელოვნური გულ-ფილტვის აპარატის საცდელი ნიმუში შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსებით, 2012-2014 წლებში შეიქმნა. პროექტი პროფესორებმა ნოდარ ხოდელმა და ზურაბ ჩხაიძემ მორფოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფთან ერთად წარადგინეს. აღსანიშნავია, რომ ეს გახლავთ ექიმების მიერ კუსტარულად შექმნილი ექსპერიმენტული აპარატი, ანუ მედიკოსებმა იტვირთეს ინჟინერ-მექანიკოსების ფუნქციაც.

„ეს აპარატი ექსპერიმენტული ნიმუშია, რომელსაც სხვადასხვა სახის ცხოველებზე (ბოცვრებზე, ძაღლებზე, ცხვრებზე) დაავადებების და მკურნალობის მეთოდების მოდელირებისას ვიყენებთ. ექსპერიმენტის დროს ხდება ცხოველის გულს გაჩერება 10-15 წუთამდე, შემდეგ სტანდარტული, სასწრაფო მეთოდით, სპეციალური კანულებით ხორციელდება აპარატის მიერთება ცხოველის გულ-სისხლძარღვთა სისტემასთან და იწყება სისხლის ხელოვნური მიმოქცევა. ამით, გაჩერებული გულის პირობებში, ხელოვნური სისხლმიმოქცევა უზრუნველყოფს სასიცოცხლო ორგანოების (პირველ რიგში თავის ტვინის) სათანადო ენერგოუზრუნველყოფას. ასეთ პირობებში შესაძლებელია გულის მუშაობის სპონტანური აღდგენა. ამ დროისთვის ჩატარებული ექსპერიმენტები ადასტურებს ჩვენს მიერ შემუშავებული ხელოვნური გულ-ფილტვის აპარატის და ხელოვნური სისხლმიმოქცევის უპირატესობებს კლინიკაში საყოველთაოდ მიღებულ, რეანიმაციის სტანდარტულ მეთოდებთან შედარებით", — განაცხადა პროფესორმა ნოდარ ხოდელმა.

კვლევებისთვის მზადება

მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი, ნოდარ ხოდელისა და ზურაბ ჩხაიძის ხელმძღვანელობით, ხელოვნური გულ-ფილტვის აპარატის პრეკლინიკური კვლევებისთვის მზადებას იწყებს. კვლევების შედეგების სარწმუნოობის სათანადო დონის მისაღწევად აუცილებელია ექსპერიმენტების უზრუნველყოფა მონაცემთა მონიტორინგის უახლესი ხელსაწყოებითა და საკმაოდ ძვირადღირებული აპარატურით. ამიტომ, დღეს, კვლევების ფინანსური უზრუნველყოფის დაბალი დონე მნიშვნელოვნად აფერხებს პრობლემის კლინიკურ რეალიზაციას. თუმცა, მორფოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ სათანადო აღჭურვილობის ნაწილი უკვე შეიძინა, მაგრამ ეს კვლევების კომპლექსური განხორციელებისთვის მაინც არასაკმარისია. ამავე დროს, პრობლემურია შემუშავებული აპარატის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, ტექნოლოგიური სრულყოფის საკითხიც. მიუხედავად ამისა, მეცნიერები, საქართველოს პირობებში, აპარატის დახვეწას პრეკლინიკური კვლევების დონემდე შესაძლებლად მიიჩნევენ.

რაც შეეხება საქართველოს პატენტის საერთაშორისოდ აღიარებას და შესაბამისი იურიდიული დაცვის უზრუნველყოფას, იგი საკმაოდ მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

„საზღვარგარეთის პატენტის მოპოვება, დაახლოებით, 60-70 ათასი ევრო ჯდება და პროცედურას 3 წელი სჭირდება. ორიგინალური ხელოვნური სისხლმიმოქცევის აპარატის საზღვარგარეთ გატანა და პატენტის მოპოვება, მცირე დაფინანსების გამო, გაცილებით რთულია, ვიდრე აპარატის მუშაობასთან დაკავშირებული სამეცნიერო იდეების რეალიზაცია, რის გამოც, ეს მიმართულება ჩვენთვის უფრო პრიორიტეტულია. პრობლემურია, აგრეთვე, აპარატის ცოცხალ ორგანიზმებზე გამოცდაც, რადგან ექსპერიმენტული კვლევა სათანადო ზომისა და წონის საცდელი ცხოველებით უზრუნველყოფას მოითხოვს. სამეცნიერო კვლევებში ბიოეთიკური საკითხების აქტუალიზაცია ახალ პრობლემებს ბადებს. ცხოველების შეძენასთან დაკავშირებით ყოველთვის წინააღმდეგობა იქმნება. ეს საკითხი სახელმწიფოს მხრიდან არ რეგულირდება. საერთოდ კი, მეცნიერების ჯერ კიდევ შემორჩენილი კერების შესანარჩუნებლად საჭიროა სახელმწიფოებრივი ხედვა, შესაბამისი მარეგულირებელი და აღმასრულებელი ორგანოების ნება, რომ არსებული მიმართულებები პერმანენტულად ვითარდებოდეს", – აღნიშნა პროფესორმა ზურაბ ჩხაიძემ.

ახალი განაცხადი

კვლევების გაგრძელებისთვის საჭირო დაფინანსების მოსაპოვებლად მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ჯგუფს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ახალი საგრანტო განაცხადი აქვთ წარდგენილი, რომელიც ეხება ხელოვნური სისხლმიმოქცევის ორიგინალური აპარატის (ტუმბოს) გამოცდას კრიტიკულ სიტუაციებში ორგანიზმის რეანიმაციის მიზნით (მათ შორის, საველე პირობებშიც).



„უკანასკნელი წლების განმავლობაში, ჩვენი ჯგუფი სწორედ ამ თემატიკაზე მუშაობს. გვაქვს იდეა, რომ შეიქმნას მცირე ზომის მაღალეფექტური, პორტატული, ტრანსპორტაბელური ხელოვნური სისხლმიმოქცევის ხელსაწყო, რომელიც საველე პირობებშიც უზრუნველყოფს ადამიანის ორგანიზმში სისხლის მიმოქცევას. დღეს, გულის უეცარი გაჩერების დროს, მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში გამოყენებადი რეანიმაციის სტანდარტული ღონისძიებები – გულის დახურული მასაჟი, პირით პირში ხელოვნური სუნთქვა და მედიკამენტოზური ინტერვენცია — ოპტიმალური სისხლმიმოქცევის მხოლოდ 5%-ს უზრუნველყოფს. ამიტომ, ასეთი რეანიმაციის შედეგად გადარჩენილთა პროცენტული მაჩვენებელი მხოლოდ 10-15%-ს აღწევს. ხელოვნური სისხლმიმოქცევის აპარატის გამოყენების შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი 40% და მეტია. იმ შემთხვევებშიც კი, თუ პაციენტის გულის დამოუკიდებელი (სპონტანური) შეკუმშვები ჩატარებული ხელოვნური სისხლმიმოქცევის შედეგად არ აღდგა, ჩვენ ვთავაზობთ ამ პროცედურის განგრძობას (პროლონგირებას) პაციენტის კლინიკაში გადასაყვანად. ჩვენ ვთვლით, რომ ექიმების კონსილიუმი კლინიკაში უნდა წყვეტდეს დაზარალებულის თავის ტვინის ფაქტიურ, ფუნქციურ მდგომარეობას. მხოლოდ თავის ტვინის „სიკვდილის" დადასტურების შემთხვევაში, კონსილიუმში იურისტების და პაციენტის ნათესავების მონაწილეობით შეიძლება გადაწყდეს დაზარალებულის პოტენციურ დონორად ცნობა. ამ შემთხვევაში, ხელოვნური სისხლმიმოქცევის აპარატის პროლონგირებული ფუნქციონირება აღნიშნული პროცედურებისთვის დროის მოგებისა და ამ პერიოდში დონორული ორგანოების ადეკვატური სისხლმომარაგების შენარჩუნების საშუალებას იძლევა. საჭირო აღარ იქნება გადანერგვამდე ორგანოთა კონსერვაცია გაყინვის მეთოდებით და მათი ვარგისიანობის ალბათობა გაიზრდება. ვფიქრობთ, რომ ასეთი მიდგომა ტრანსპლანტოლოგიაში არსებულ პრობლემას მნიშვნელოვანწილად მოაგვარებს, რადგან, დღეისათვის, დონორული ორგანოების რაოდენობა საგრძნობლად ჩამოუვარდება სატრანსპლანტაციოდ მოთხოვნილ ორგანოთა რაოდენობას. ამ შემთხვევაში, არ ვსაუბრობთ საქართველოზე, სადაც დონორული ორგანოების გამოყენების პრობლემა არც საკანონმდებლო და არც მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით გადაწყვეტილი არ არის. ლაპარაკია ამ თვალსაზრისით ცივილურ ქვეყნებზე, რომელთა რიცხვსაც, ჯერჯერობით, არ მივეკუთვნებით", — აღნიშნა პროფესორმა ნოდარ ხოდელმა.

აპარატის გამოყენებით მიღწეულ ეფექტებს ემყარება კონცეფცია, რომლის თანახმადაც, გულის უეცარი გაჩერების დროს, ეფექტური რეანიმაციის შედეგად გაიზრდება გადარჩენილ პაციენტთა რიცხვი, ხოლო წარუმატებელი რეანიმაციის შემთხვევაში, ხელოვნური სისხლმიმოქცევის პროლონგირების პირობებში, მიიღწევა პოტენციური დონორის ორგანიზმში ორგანოთა სრულყოფილი ჰემოდინამიკური დაცვა, ანუ ოპტიმალური კონსერვაცია ამ ორგანოების გადანერგვამდე.

პროფესორების — დიმიტრი კორძაიას, ნოდარ ხოდელის და ზურაბ ჩხაიძის თაოსნობით, ორი წლის წინ ქართულ-ესპანური კვლევითი ჯგუფი შეიქმნა. ჯგუფს ესპანეთის მხრიდან სევილიის საუნივერსიტეტო კლინიკის ქირურგიისა და ტრანსპლანტაციის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი ჰავიერ პადილო უდგას სათავეში. წინასწარი კვლევების საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქართველ მეცნიერთა მიერ შეთავაზებული მეთოდის ეფექტიანობა ცნობილი ანალოგების ეფექტიანობას უნდა აღემატებოდეს. პროექტი ევროკავშირის სამეცნიერო გრანტების „ჰორიზონ 2020"-ის კონკურსზე დაფინანსების მოსაპოვებლად 2016 წლის ნოემბრის დასაწყისშია წარდგენილი.

ᲜᲐᲗᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

შორეული აღმოსავლეთი: ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და ახალი გამოწვევები

17-18 ნოემბერს თსუ-ში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მიმართულების ინიციატივით II სამეცნიერო კონფერენცია — „შორეული აღმოსავლეთი: ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და ახალი გამოწვევები“ — გაიმართა, რომელზეც თსუ-ის მეცნიერებმა და სტუდენტებმა ამ რეგიონთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო თემატიკა წარმოადგინეს.

როგორც კონფერენციის ხელმძღვანელმა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მიმართულების ხელმძღვანელმა ნანა გელაშვილმა აღნიშნა,

კონფერენციის მიზანია იაპონიის, ჩინეთის, კორეის და აზიის სხვა ქვეყნების ისტორიის, კულტურის, რელიგიების შესწავლა წარსულსა და აწმყოში. ამასთან, საქართველოსა და აზიის სახელმწიფოების ურთიერთობების წარმოჩენა საერთაშორისო ჭრილში და ინტერდისციპლინური ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება.

მნიშვნელოვანია, რომ ამ კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში შორეული აღმოსავლეთის რეგიონის საკითხებით დაინტერესებულმა მკვლევრებმა და სტუდენტებმა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის, როგორც დარგის, პოპულარიზაციას.

ნანა გელაშვილის თქმით, სამეცნიერო კონფერენციას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ კუთხითაც, რომ აქ წარმოდგენილმა კვლევებმა წარმოაჩინა შორეული აღმოსავლეთის რეგიონის თანამედროვე გლობალურ პროცესებში ჩართულობა. ,,ჩვენი მიმართულების ინიციატივით სამეცნიერო კონფერენცია თსუ-ში მეორედ გაიმართა და მას უკვე საკმაოდ კარგი რეზონანსი მოჰყვა ჩინეთისა და იაპონიის საელჩოს მხრიდან. აღსანიშნავია, რომ შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მიმართულება ჩვენს უნივერსიტეტში სრულიად ახალი დარგია და მას განვითარება და ხელშეწყობა სჭირდება. ამ კუთხით უკვე პოზიტიური ნაბიჯებიც გადაიდგა იაპონიის საელჩოსა და თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან. მნიშვნელოვანია, რომ შორეული აღმოსავლეთის უნივერსიტეტების მეცნიერები და მკვლევრები ხშირად სტუმრობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მასტერკლასებს კითხულობენ, ამასთან, იაპონიისა და ჩინეთის უნივერსიტეტებში სწავლას აგრძელებენ ჩვენი მაგისტრანტები. სწორედ ამ ურთიერთთანამშრომლობის შედეგია დღევანდელი კონფერენციაც“, — აღნიშნა ნანა გელაშვილმა.

საქართველო — შორეულ აღმოსავლეთის ურთიერთობების შესახებ საინტერესო ნაშრომები წარმოადგინეს მეცნიერებმა და სტუდენტებმა. მათ შორის მნიშვნელოვანი იყო თსუ-ის პროფესორის ნიკო ჯავახიშვილს მოხსენება: „იაპონია ქართველ მოღვაწეთა ნააზრევში“, სადაც ავტორი საქართველოსა და იაპონიის ურთიერთობებზე საუბრობს. საქართველო-იაპონიის ურთიერთობების შესახებ საინტერესო მასალები წარმოადგინა იაპონისტმა თამაზ რურუამ, რომელმაც იაპონურ საბრძოლო ხელოვნების საიდუმლოებების თაობაზე ისაუბრა. თსუ-ის პროფესორ ნანა გელაშვილის ნაშრომი კი შორეულ აღმოსავლეთში რელიგიათშორისი დიალოგის მნიშვნელობას მიეძღვნა. კონფერენციის მონაწილეები დიდი ინტერესით გაეცნენ სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის არჩილ კალანდიასა და ეკონომიკის დოქტორის მარინა ღუდუშაურის მოხსენებებს თანამედროვე აბრეშუმის გზის შესახებ.

კონფერენციის მუშაობაში ჩაერთნენ თსუ-ის სტუდენტებიც, რომლებმაც ერთწლიანი სტაჟირება გაიარეს ჩინეთის უნივერსიტეტში. დოქტორანტების ვაჟა ქორიძისა და კახაბერ ჭაფოძის ნაშრომები იაპონური საბრძოლო ხელოვნებისა და ცენტრალურ აზიაში ჩინეთის ენერგეტიკული და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს შეეხებოდა.

მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციის მოხსენებების თემატიკა საკმაოდ ფართო სპექტრით იყო წარმოდგენილი: ისტორია, პოლიტიკა, განათლება, რელიგია, ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, სოციალური და გენდერული საკითხები და სხვა.

შურთხია ბეროშვილი

გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ორგანიზებით 11-12 ნოემბერს გაიმართა საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია თემაზე — „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. კონფერენციის მიზანი იყო ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში ჩატარებული მეცნიერული კვლევების შედეგებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 130-მდე ქართველმა და უცხოელმა მეცნიერ-ეკონომისტმა, მათ შორის 10-მდე სხვადასხვა ქვეყნისა და უნივერსიტეტის წარმომადგენელმა გერმანიიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, ჩეხეთიდან, რუმინეთიდან, ლატვიიდან და სხვ. მუშაობდა 7 სექცია: თეორიული ეკონომიკა, მაკროეკონომიკა, ეკონომეტრიკა — (სექციის ხელმძღვანელი — პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი); მიკროეკონომიკა, რეგიონული ეკონომიკა — (სექციის ხელმძღვანელი — პროფესორი ეთერ ხარაიშვილი); ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა — (სექციის ხელმძღვანელი — პროფესორი სიმონ გელაშვილი); საერთაშორისო ეკონომიკა, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ეკონომიკური პოლიტიკა — (სექციის ხელმძღვანელი — აკადემიკოსი, პროფესორი ავთანდილ სილაგაძე); საერთაშორისო ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ეკონომიკური ინფორმატიკა — (სექციის ხელმძღვანელი — პროფესორი ნუგზარ თოდუა); ფინანსები, საბანკო საქმე, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი — (სექციის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე); ტურიზმი და არასაწარმოო სფერო — (სექციის ხელმძღვანელი — პროფესორი იოსებ ხელაშვილი).

პლენარული სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „საქართველო თავისი ეკონომიკური პოტენციალით, ტერიტორიით მცირე ქვეყანაა, ამიტომ საქართველოს პოლიტიკა იმ კუთხით უნდა წარიმართოს, რომ თავისი ადგილი ნახოს გლობალურ ეკონომიკურ მასშტაბებში, რაც არც თუ ისე მარტივია“, — აღნიშნა პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ასევე ქალაქ თბილისის მერი, პროფესორი დავით ნარმანია, აკადემიკოსები ვლადიმერ პაპავა და ავთანდილ სილაგაძე.

თბილისის მერმა, თსუ-ის პროფესორმა დავით ნარმანიამ განაცხადა, მისასალმებელია, საერთაშორისო კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრადიციად რომ იქცა. „საკითხები რომელიც ამ კონფერენციაზე გამოდის არა მარტო საქართველოში, მსოფლიოშიც აქტუალურია. ეკონომიკური ამინდი სწრაფად იცვლება, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორებით. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს კონფერენცია გამოცდილების გაცნობისა და ურთიერთგაზიარების საშუალებას გვაძლევს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა არის ღია და მსოფლიო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი. ბუნებრივია, მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, თავისებურ გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. გლობალიზაციის გამოწვევებს ადეკვატური რეაგირება და გადაწყვეტა სჭირდება. საქართველო, როგორც სატრანზიტო, ტურისტული, საინვესტიციოდ მიმზიდველი ქვეყანა, ამ ფონზე განსაკუთრებული განხილვის საგანია“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

თსუ-ის პროფესორმა ავთანდილ სილაგაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავაც იქნება ცენტრი ასეთი წარმომადგენლობითი ფორუმების ჩატარებისა, ვინაიდან ეკონომისტების ძირითადი ბირთვი თავს სწორედ უნივერსიტეტის სივრცეში იყრის. „დღეს, როდესაც ასე აქტუალურია ევროკავშირთან ინტეგრაცია და მჭიდრო ურთიერთობების დამყარება, ამ თვალსაზრისით საინტერესო იქნება ქართველი და უცხოელი კოლეგების გამოცდილების, მოსაზრებების, ხედვების გაზიარება“, — აღნიშნა ავთანდილ სილაგაძემ.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ საინტერესო მოხსენება წარმოადგინა: „რეტროეკონომიკა-ნეკროეკონომიკის გლობალიზაციის წინაპირობა“, სადაც მსმენელებს ნეკროეკონომიკის შესახებ ახალი ხედვა გააცნო. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კვლევის მიზანია იყო აეხსნა — თუ რატომ გამოიყენება ბევრ უაღრესად ღარიბი ქვეყნის ეკონომიკაში მოძველებული ტექნოლოგიები. მეცნიერის აზრით, სწორედ ამის შედეგია ის, რომ ყველა ამ ქვეყანას რეტროეკონომიკა აქვს. „ეკონომიკის ზომბიფიცირების პროცესი მის ტექნოლოგიურ განახლებას უქმნის ბარიერებს. სახელმწიფოს როლი კი ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევაში ძალზედ მნიშვნელოვანია“, — აცხადებს იგი და რეტროეკონომიკის შექმნის 5 მნიშვნელოვან ფაქტორს განიხილავს.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა თსუ-ის პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი (თემა — „მოდერნიზაციული ავტორიტარიზმის ეკონომიკური შინაარსი: საქართველოს გამოცდილება“). ნაშრომში განხილული იყო მოდერნიზაციის მსოფლიო გამოცდილება, მოდერნიზაციის ეტაპები და ფორმები.

რა გავლენას ახდენს გლობალიზაცია საქართველოს საგამომხმარებლო ბაზრის უსაფრთხოებაზე – ამ საკითხის შესახებ ისაუბრა თსუ-ის პროფესორმა ნუგზარ თოდუამ, რომელმაც ცხადყო, რომ საერთო მსოფლიო გლობალური პროცესების გათვალისწინების გარეშე არ არსებობს ეროვნული ეკონომიკის პროგრესი.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ასევე: ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (IABE) ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი გავრილეტეა დან მარიუსი, (თემა — „საავიაციო რისკები და ტერორიზმი“), პოლონეთის საზღვაო აკადემიის პროფესორი იგორ არეფიევი, (თემა — „სატრანსპორტო საწარმოების ფინანსური მდგრადობის პროგნოზირებისა და შეფასების მეთოდები რისკების პირობებში“.), ციტაუ-გორლიცის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის პროფესორი მათიას ფოგტი (თემა — „როდიდან დაიწყო გლობალიზაცია?“).

მომხსენებლებმა განიხილეს მიმდინარე ეკონომიკური საკითხები, გლობალური ეკონომიკის გამოწვევები, ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები. კონფერენცია, პრაქტიკულად, ყველა იმ საკითხს მოიცავდა, რაც კი აქტუალურია ეკონომიკაში ბოლო პერიოდში.

პლენარული სხდომის შემდეგ კონფერენციის მონაწილეებმა მუშაობა სექციებში განაგრძეს.

კონფერენციის მთავარი მიზანი — მომხდარიყო ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროში ჩატარებული მეცნიერული კვლევების შედეგებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება, მიღწეულ იქნა. კონფერენციაზე წარმოდგენილი მასალების მიხედვით მომზადდა და გამოიცა სამეცნიერო კრებული.

თამარ დადიანი

საიუბილეო კრებული „თედო ნინიძე — 65“



სამართალი, უპირველეს ყოვლისა, კულტურული ფენომენია და ღირებულებათა წესრიგის განსაზღვრაში უდიდეს როლს თამაშობს – ასეთია იურისპრუდენციისა და სამართლის ხედვა პროფესორ თედო ნინიძისთვის და სწორედ ამის მიტანას ცდილობს იგი საკუთარ სტუდენტებამდე. ბატონი თედო იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც დამოუკიდებელი საქართველოს სათავეებთან იდგნენ და საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით პირველ აგურებს აწყობდნენ იმ სფეროებში, რომელთა განვითარების გარეშეც წარმოუდგენელია ნებისმიერი სახელმწიფოს შენება. წარსულში ქვეყნის გენერალური პროკურორი, იუსტიციის მინისტრი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, სრულიად უნიკალური აკადემიური განათლებითა და ფართო სამეცნიერო ხედვით – ასეთი გამოცდილებით ზრდიდა და დღემდე ზრდის თედო ნინიძე იმ ადამიანებს, რომელთა პროფესიაც ღირებულებების სამართლიანობასთან შესაბამისობაში მოყვანა, ამ ყველაფრის კანონში გადატანა და შემდეგ ამ კანონების დაცვა-აღსრულებაა.

65 წლის მეცნიერისა და იურისტის საიუბილეო თარიღს მიუძღვნეს თედო ნინიძის ყოფილმა სტუდენტებმა კრებული, რომელიც მათივე დაფინანსებით გამოიცა და რომლის პრეზენტაციაც უნივერსიტეტში 11 ნოემბერს გაიმართა.

„საერთოდ, საიუბილეო კრებული არის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის გამოცემა, რომელშიც მეცნიერები თავის სიტყვას ამბობენ. საიუბილეო კრებულების ტრადიცია ევროპულია და ის საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დამკვიდრდა. როდესაც ევროპაში 65 წელი უსრულდება მეცნიერს, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა მიუძღვნა საუნივერსიტეტო განათლებას, იურისპრუდენციას, მისი კოლეგები მას უძღვნიან კრებულს ნიშნად იმ დამსახურებისა, რომელიც ამ ადამიანმა გააკეთა ქვეყნისა და განათლებისთვის. ბატონი თედო არის სწორედ ასეთი ადამიანი – ძალიან ბევრის, მათ შორის, ჩემი მასწავლებელი და ჩვენ ყოველდღიურად ვართ იმის მომსწრე, თუ როგორ გენერირდება ის ცოდნა, ფილოსოფია და გამოცდილება, რომელიც მას წლების განმავლობაში აქვს დაგროვებული ახალ თაობაში“, – აღნიშნა შესავალ სიტყვაში იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა.

კრებულში თავმოყრილია სამართლის საკითხებზე ახალგაზრდა მკვლევრების მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი ნაშრომები და წერილები. კრებული იურიდიული ფირმა „ჯეი ენდ თი ქონსალთინგისა“ და „დეკერტ საქართველოს“ ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა.

„ყველამ ვიცით, რომ საბჭოთა ინერციიდან გამომდინარე, ჩვენში დღემდე არსებობს იურიდიული პრაქტიკისა და თეორიის თანხვედრის პრობლემა. ჩვენი სტუდენტობიდან მოყოლებული, ბევრი სახელმძღვანელო შემიძლია გავიხსენო, რომელიც პრაქტიკაში აღარ გამოგვდგომია. თავის დროზე შედარებითი სამოქალაქო სამართალი იყო ახალი საგანი, რომლის სწავლებაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო პირველად და ამ საგნის სალექციო კურსი ბატონ თედოს აყვანილი ჰყავდა ხელოვნების სიმაღლეზე. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი თედო არასოდეს ყოფილა ადვოკატი, თუმცა კი ნამუშევარი აქვს ყველა უმაღლეს იურიდიულ თანამდებობაზე, ის იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, რომ ცოდნა, რომელსაც გადასცემს სტუდენტებს, მათ პრაქტიკაში გამოიყენონ“, – აღნიშნა გიორგი ცერცვაძემ, რომელიც კრებულის გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი, ამჟამად თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი და პრაქტიკოსი ადვოკატია.

კრებულის გამოცემის და პრეზენტაციის შესახებ ინფორმაცია ბოლო დღეებამდე საიდუმლოდ ინახებოდა, რადგან, ზოგადად, ბატონი თედოს დამოკიდებულება მსგავსი ღონისძიებების მიმართ ცნობილია და მისი აზრით, საიუბილეო თარიღებისთვის საქმიანი ადამიანები არ უნდა ცდებოდნენ. თუმცა, ღონისძიების ადრესატი ნამდვილად სასიამოვნოდ გაოცებული დარჩა იმით, რომ მსგავსი მაღალი დონის კრებული გამოიცა, საკუთარ პერსონას კი მხოლოდ ამ გამოცემის ინსპირატორად განიხილავს: „არაჩვეულებრივი ავტორები... მაღალი დონის პოლიგრაფია... მიუხედავად იმისა, რომ ეს მართლაც არის საიუბილეო კრებული, დღეს არც ჩემი იუბილეა და არც ბენეფისი, რადგან შარშან, როცა 65 წელი შემისრულდა, უნივერსიტეტის რექტორმა გადმომცა უნივერსიტეტის მედალი. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის მედალი და ამისთანა კრებული ერთი კაცისთვის საკმარისია დასაფასებლად. თუმცა, მაინც, მიმაჩნია, რომ დიდი არაფერი გამიკეთებია“, – აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას თედო ნინიძემ.

მოკლე და ლაკონური გამოსვლის მიუხედავად, თედო ნინიძემ მისთვის ჩვეული სიღრმით ისაუბრა სამოქალაქო სამართლის, იგივე ცივილისტიკის განვითარების ისტორიაზე პოსტსაბჭოთა საქართველოში. მისი თქმით, ცივილისტიკა მეორეხარისხოვანი იყო ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ. კერძო, იგივე სამოქალაქო სამართლის დავები თითქმის არ მიმდინარეობდა საბჭოთა სისტემაში, სადაც ყველაფრის მესაკუთრე სახელმწიფო იყო. „ის ულამაზესი კონსტრუქციები, რაც ცივილისტიკას აქვს რომის სამართლიდან მოყოლებული დღემდე, სულაც ზედმეტი იყო საბჭოთა კავშირისთვის და უსარგებლო საგანსაც ეძახდნენ. ვიცით, რომ საბჭოთა სამართალი არ აღიარებდა კერძო საკუთრებას და, შესაბამისად, ის იყო საჯარო და სისხლის სამართალზე ორიენტირებული. დრომ და პოლიტიკური სისტემის ცვლამ მოიტანა სამოქალაქო სამართლის განვითარება, რადგან ადამიანის კერძო ცხოვრება გახდა დასაცავი და, საერთოდაც, სამართლის ყველა დარგის მთავარი სუბიექტი არის ადამიანი და მისი კერძო ცხოვრება”, – აღნიშნა ბატონმა თედომ. მისივე თქმით, საქართველომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ყველაზე ადრე გააკეთა ადეკვატური სვლა და მოძებნა კერძო სამართლის ადგილი სწავლების სისტემაში, რამაც უკვე გამოიღო შედეგი და დღეს ქართული სამოქალაქო სამართალი როგორც პრაქტიკაში, ისე მეცნიერებაში სათანადოდ პასუხობს თანამედროვეობის გამოწვევებს.

„როცა ადამიანს შეუძლია მასთან საუბრით გაგხადოს უკეთესი, ეს არის მაქსიმუმი, რაც ადამიანს შეუძლია და ამას იქით აღარ არსებობს სიმაღლე, ძალიან დიდი მადლობა ბატონ თედოს ამ ყველაფრისთვის!”, – ეს ბატონი თედოს ერთ-ერთი ყოფილი სტუდენტის სიტყვებია და ის საუკეთესოდ გამოხატავს ნებისმიერი სწავლების მიზანს და ყველაზე მთავარს პროფესორისა და სტუდენტის, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაში და, შესაბამისად, იმ ღვაწლსაც, რომელიც თედო ნინიძეს ქართულ იურიდიულ განათლებაში უდევს.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

საჯარო ლექცია

„ხუმრობით სერიოზულზე და სერიოზულზე ხუმრობით“

ილია თავხელიძის საჯარო ლექცია მათემატიკაში

მეხუთე გვერდიდან

წერა, რომელსაც პარამეტრების ცვლილებით შეუძლია ამ ფორმების მიღება. ამ რთული ობიექტების წარმოდგენასა და შესწავლაში ასევე ჩართულია იტალიელი მეცნიერი პაოლო რიჩი. ამ საკითხებთან ახლოსაა ასევე ქართველი მეცნიერი მამანტი როგავა, ცნობილი ექიმი, რომელსაც აქვს იდეა, რომ ადამიანის მთავარი სასიცოცხლო ორგანო – გული, არის არა ცილინდრული კამერა, არამედ მებიუსის ლოგიკით დახვეული მრავალშრიანი გარსული ტიპის რთული სხეული. ერთობლივ სამეცნიერო სამუშაოში საინტერესო კუთხითაა ჩართული ასევე ვილნიუსის უნივერსიტეტის პროფესორი ვილია თარგამაძე, რომელიც განათლების მეცნიერების მიმართულებით მუშაობს და ინტერესდება, როგორ შეიძლება გამოიყენოს რთული ობიექტების კვლევა პედაგოგიკაში პრობლემაზე ორიენტირებული სწავლის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით.

ლექციის შემდეგი ნაწილი დაეთმო იმაზე მსჯელობას, თუ რატომ არ თუ ვერ მიდიან უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები სკოლებში მასწავლებლებად? როგორ უნდა მოხერხდეს, რომ, მაგალითად, მათემატიკის მიმართულების კურსდამთავრებული ბანკში კი არა, სკოლაში წავიდეს და მაღალ დონეზე ასწავლოს საგანი? დარბაზში გამოითქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია შეიკრიბოს საზოგადოების რაღაც ნაწილი და მიმართოს სათანადო ორგანოებს, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს მიეცეთ მასწავლებლობის უფლება, მანამდე კი ჩაიდოს სასწავლო პროგრამაში ის საგნები, რომელიც მათ ამის უფლებას მისცემს.

ლექციის დასასრულს, პროფესორმა ილია თავხელიძემ კმაყოფილება გამოთქვა, რომ სტუდენტებს მოუნდათ საჯარო ლექციის მოსმენა მათემატიკაში: „სიტყვა „მათემატიკოსი“ გახადეს საშიში და საძულველი ტერმინი. მათემატიკოსობა გააიგივეს დიდი რიცხვების შეკრებასთან ან გამრავლებასთან, დიდი რიცხვებიდან ფესვის ამოღებასთან და რთული და გრძელი ფორმულების დამახსოვრებასთან. ეს არის მცდარი წარმოდგენა. ანტიკური მნიშვნელობით, მათემატიკოსი ნიშნავს ცოდნის მოყვარულს. მართალია, სიახლე ყველას უყვარს, მაგრამ მათემატიკოსი, განსხვავებით ყველასგან, მოვლენათა ჯაჭვში ეძებს კანონზომიერებას. შეიძლება ამ კანონზომიერებამ ზოგჯერ ფიზიკური შინაარსი შეიძინოს. თუ ამ კანონზომიერებას ფორმულის სახე მიეცემა, ამბობენ, რომ მას მიეცა მათემატიკური ფორმულის სახე. ეს საჯარო ლექცია, და ჩემი ლექციათა კურსიც, ემსახურებოდა იმას, რომ მოიხსნას სტერეოტიპი მათემატიკის შიშისა. მოგვბეზრდა მათემატიკოსებს ასეთი კლიშეები. მათემატიკა უნდა იყოს კვლევების დამხმარე იარაღი და არა მარტო გამოცდების ჩასაბარებელი დამთრგუნველი საგანი. ბედნიერი ვარ, რომ ამ ლექციაზე სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები ინტერესით მისმენდნენ და ჩემთან ერთად მსჯელობდნენ სხვადასხვა საკითხზე“, — აღნიშნა მან.

მსგავსი საჯარო ლექციები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე კვლავ გაიმართება, მანამდე კი ილია თავხელიძე ყველა ფაკულტეტის სტუდენტებს იწვევს საგანზე „მათემატიკის ელემენტები ხელოვნებასა და ბუნებაში“ და ჰპირდება, რომ ისე ასწავლის და შეაყვარებს მათ მათემატიკას, რომ არც ერთი ფორმულის დაზეპირება არ დასჭირდებათ.

მაია ტორაძე

მათთვის, ვისაც სწორად წერა და მეტყველება სურს

გამოიცა „მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“

ენა ცოცხალი ორგანიზმია, ლექსიკონი კი ამ ორგანიზმის სიჯანსაღეს უწყობს ხელს, რადგან წლიდან წლამდე ნებისმიერ ენაში მკვიდრდება ახალი სიტყვები და გამოთქმები, რომელთა სწორად წარმოთქმა და წერა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ყურადღებით ეკიდებიან ადამიანები საკუთარი ენის სიწმინდეს და რამდენად აქტიურად ადევნებენ თვალს ენაში მიმდინარე ცვლილებებს ენათმეცნიერები. დღეს, იმ ფონზე, როცა ქართველ ტელეჟურნალისტებს მოძალებული ბარბარიზმებისა და ჟარგონის გამო მეტყველებას სამართლიანად უწუნებენ, ხოლო პრესის ჟურნალისტები ხშირად იმტვრევენ თავს – როგორ დაწერონ სწორად ესა თუ ის უცხოური და ახლად დამკვიდრებული ტერმინი, სწორედ რომ დროული იყო მართლწერის ლექსიკონის შექმნა სპეციალურად მედიის წარმომადგენლებისთვის.

18 ნოემბერს თბილისის წიგნის დღეებზე თსუ-ის გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნის — „მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“ — პრეზენტაცია გაიმართა. ლექსიკონი თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებამ სპეციალურად მედიის სფეროში მოღვაწეთათვის მოამზადა იმ შეცდომების (თუ უზუსტობათა) გათვალისწინებით, რომლებიც ყველაზე ტიპობრივი ჩანს მათი ზეპირი თუ წერითი მეტყველებისას.

წიგნის რედაქტორია თამარ ვაშაკიძე, კონსულტანტი — აკადემიკოსი ავთანდილ არაბული, რეცენზენტები — გიორგი გოგოლაშვილი და ვაჟა შენგელია. ლექსიკონზე მუშაობდნენ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების წევრები: თეა ბურჭულაძე, მაკა ლაბარტყავა, ვახტანგ მაღრაძე, თამარ მახარობლიძე, თეა ტეტელოშვილი და ნინო ჯორბენაძე (პასუხისმგებელი მდივანი). სალექსიკონო მასალის შეგროვებაში მონაწილეობდნენ ასევე ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები.

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, ფაქტობრივად, ყოველდღიურად ივსება უცხო ცნებების აღმნიშვნელი სიტყვებითა და გამოთქმებით, ასევე სხვადასხვა დარგისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიით, რომელთაგანაც ერთი ნაწილი ბარბარიზმებს წარმოადგენს, ხოლო ენაში არასწორად დაწერილი მკვიდრდება. შესაბამისად, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებამ საჭიროდ მიიჩნია აღენუსხა ახლად გამოვლენილი ენიობრივ-სტილისტიკური შეცდომები და ტელე-რადიო ჟურნალისტებისა და ქართული პრესის წარმომადგენელთათვის მოემზადებინა მართლწერის ლექსიკონი, რომელშიც, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ უცხო სიტყვებია წარმოდგენილი, არამედ სხვა სახის შეცდომებიც“, — განაცხადა წიგნის წარდგენისას რედაქტორმა თამარ ვაშაკიძემ.

მისი თქმით, ლექსიკონში ორთოგრაფიულ-გრამატიკული და ხშირად სტილისტიკური შეცდომები მიწოდებულია ისე, რომ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, საინტერესო სიტყვა იპოვოს არა მხოლოდ სწორი, არამედ უმართებულო ფორმის მიხედვითაც. მაგალითად, ასო-ბგერა ტ-ზე მოცემულია: **ტრილერი და არა თრილერი**, ხოლო ასო-ბგერა თ-ზე — თრილერი კი არა, ტრილერი... ან კიდევ, ასო-ბგერა ტ-ზე: **ტოქ-შოუ და არა თოქ-შოუ**; ხოლო ასო-ბგერა თ-ზე: თოქ-შოუ კი არა, ტოქ-შოუ;

თუ მართებული და უმართებული სიტყვების დასაწყისი ასოები ერთმანეთს ემთხვევა და ეს სიტყვები ლექსიკონში ერთმანეთის ახლოს აღმოჩნდებიან, ასეთ შემთხვევაში სალექსიკონო ერთეული წარმოდგენილია მხოლოდ ერთი აკრძალვით. მაგალითად, **სერტიფიკატი და არა სერთიფიკატი**, სერტიფიცირებული და არა სერთიფიცირებული.

ლექსიკონი სიახლეს წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ მასში პირველად არის გათვალისწინებული ბევრი ახალი ლექსიკური ერთეული და ტერმინი, რომელთაგანაც ერთი ნაწილი ბარბარიზმად არის მიჩნეული. მაგალითად **სენსიტიური კი არა, მგრძნობელობითი, გრძნობითი, ფაქიზი** (გააჩნია კონტექსტს); **სტეპლერი კი არა – საკინძელა**; **ძსეროქსი კი არა, ასლგადამღები**; **„ბასანოშკი“ კი არა – მაშია** და ა.შ.

ტერმინები, რომლებიც, ფაქტობრივად, უკვე დამკვიდრებულია ენაში, ლექსიკონში წარმოდგენილია შესაბამისი ორთოგრაფიით. მაგალითად, პენიტენციური და არა პენიტენციული, ინტერაქტიური და არა ინტერაქტიული, ვიზალიბერალიზაცია იწერება ერთად და არა დეფისით, როგორც ეს ხშირად წარმოდგენილია პრესაში.

ლექსიკონი ორიგინალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში პირველად შეიცვალა ბევრი სიტყვის დაწერა. მაგალითად, დღემდე მართებულ ფორმად იყო მიჩნეული სიტყვები: არა მარტო, არა უადრეს, არა უგვიანეს, არა უმეტეს (ცალცალკე) და ა.შ. დღეს ეს სიტყვები უკვე ერთ სიტყვას წარმოადგენს და იწერება ერთად: არამარტო, არაუადრეს, არაუგვიანეს, არაუმეტეს და ა.შ.

სიახლეა ისიც, რომ ძალიან ბევრ სიტყვას მოეხსნა აკრძალვა. მაგალითად, დღემდე ერთადერთ სწორ ფორმად იყო მიჩნეული სიტყვა მინახავხარ (მინახიხარ შეცდომად იყო მიჩნეული). სიტყვას კვადრატულ ფრჩხილებში, პარალელურ ვარიანტად აქვს მიწერილი მინახიხარ; ან კიდევ: შიგა გაყვანილობა, რომელსაც ასევე ახლავს პარალელური ფორმა — შიდაგაყვანილობა და სხვ.

ლექსიკონში ასევე გათვალისწინებულია სინტაქსური და სტილისტიკური შეცდომებიც (კონტექსტის მიხედვით). სიახლეა კუმშვა-კვეცის თვალსაზრისითაც.

ზოგჯერ ორმაგი უარყოფის შიშით ჟურნალისტები არასწორ ფრაზებსაც იყენებენ. მაგალითად: არავითარ შემთხვევაში მოვიდა, არაფრის დიდებით დაგვეთანხმა და ა.შ ამ სახის სიტყვები ლექსიკონში ანბანის მიხედვითაა განლაგებული და მრგვალ ფრჩხილებში აქვს მიწერილი, რომ მოითხოვს ორმაგ უარყოფას (არავითარ შემთხვევაში არ მოვიდა, არაფრის დიდებით არ დაგვეთანხმა და ა.შ).

ლექსიკონში მოცემულია 18 ათასამდე ერთეული. მათ შორის არის ყველაზე ხშირი შემთხვევები, რაც კი თანამედროვე ჟურნალისტების ენაში დაფიქსირებულა, თუმცა, ეს მეათედიც კი არაა იმისა, რა პრობლემებიც არსებობს. ამიტომ მის შესავსებად თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი მუშაობას აგრძელებს. როგორც ლექსიკონის კონსულტანტმა, აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, უკვე მზადაა და გამოვა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ათტომეული, თუმცა სანამ განმარტებითი ლექსიკონის ბაზა ბოლომდე არ იქნება მიყვანილი, სრული ორთოგრაფიული ლექსიკონის გაკეთება შეუძლებელია.

„ქართულ ენაში ძალიან ბევრი უცხო სიტყვა შემოდის და მკვიდრდება. მაგალითად, ჩვენ უხეშ ბარბარიზმად მიგვაჩნდა „**ტრენერი**“ და „**ტრენიროვკა**“, დღეს კი მას განათლების სპეციალისტებიც კი იყენებენ, მაშინ, როცა ქართულში არსებობს შესატყვისი — **წვრთნა**, **მწვრთნელი**... ასევე დამკვიდრდა სიტყვა — **„პრეზენტაცია“**, რაც სხვა არაფერია, თუ არა **წარდგინება** და სხვ. ქართული ენა სიტყვათწარმოებისა და ფორმათწარმოების მხრივ ძალიან მდიდარია და უნდა შევძლოთ, რომ ასე განუკითხავად არ გავავსოთ უცხო სიტყვებითა და გამოთქმით“, — აღნიშნა მან.

აქვე ითქვა ისიც, რომ ენის ნორმების დადგენაში თვითშემოქმედება არ შეიძლება. სხვადასხვა ნორმის მომხრე ენათმეცნიერებმა უნდა მიაღწიონ შეთანხმებას და დადგინდეს მართებული ფორმები, რომ სწორად ვწეროთ და ვიმეტყველოთ.

„ჩვენ გვსურდა სწორედ ჟურნალისტებისთვის გამოგვეცა ეს ლექსიკონი, რადგან ძირითადად მათ უსმენს საზოგადოება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ თუ ჟურნალისტი გამოასწორებს მეტყველებას, ეს საზოგადოებაზეც იმოქმედებს. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი არის ის დაწესებულება, სადაც წლების განმავლობაში მზადდებოდა და ახლაც მზადდება სალიტერატურო ენის ნორმათა პროექტები (ძირითადად ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებაში) და ის გადაწყვეტილება, რომელსაც ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მიიღებს, ყველა დანარჩენი ჯგუფისთვის უნდა იყოს გასათვალისწინებელი. ჩვენ ვხვდებით ჩვენს კოლეგებს, ვმსჯელობთ თითოეულ ტერმინსა და გამოთქმაზე, საბოლოოდ კი ყველას აზრი განიხილება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე (რადგან ენის ნორმების დამდგენი კომისია ჯერ არ არსებობს) და ისეთ ვარიანტს ვარჩევთ, რომელიც ყველაზე მისაღებია“, — განაცხადა ლექსიკონის რედაქტორმა თამარ ვაშაკიძემ.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი განაგრძობს ლექსიკონებზე მუშაობას. აპრილში გამოიცემა ოფიციალურ საქმიან სფეროსთან დაკავშირებული ქართული ენის ლექსიკონი და აბრევიაციათა ლექსიკონი. ლექსიკონები მოემსახურება ყველას, ვისაც სურს სწორად წერა და მეტყველება.

მაია ტორაძე

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა

24 ნოემბერს 12:00 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა „ივანე ჯავახიშვილის მიერ ევროპული საგანმანათლებლო პრინციპების დანერგვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1918-1926 წლებში“, რომელსაც თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და სტუდენტები დაესწრებიან.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდებში დაცული საარქივო მემკვიდრეობის უაღრესად საინტერესო ნაწილი. ამ მრავალრიცხოვანი ფოლიანტებიდან გამოფენისთვის შეირჩა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტისა და დამფუძნებელი საზოგადოების კრების ოქმები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ბრძანებები, უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხები, საგანმანათლებლო პროგრამები, სტიპენდიატებთან არსებული მიმოწერები, კერძოდ, კი შალვა ცინცაძის, მოსე შანიძის, გიორგი ნანეშვილის, ერეკლე ტატიშვილის, მოსე გოგიბერიძის, ბიძინა რამიშვილის, ნიკოლოზ ქოიავას, სიმონ ყაუხჩიშვილის, გიორგი ნიორაძის, ალექსანდრე ჯანელიძის, კოტე ბაქრაძის, ივანე და ალექსანდრე ნიკურაძეების, რაჟდენ ხუციშვილის, ზურაბ ავალიშვილის, სვიმონ ჯანაშიას, გიორგი ნიკოლაძის, ვლადიმერ ემუხვარის, დავით იაშვილის და სხვათა ხელნაწერები, ფოტოები და მემორიალური ნივთები.

ქართული უნივერსიტეტის დაარსება მრავალი საუკუნისა და მრავალი თაობის ოცნების აღსრულება იყო, მაგრამ იგი უპირველესად დიდი ქართველი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილისა და მის გვერდით მდგომი პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ახალგაზრდა მეცნიერთა ღვაწლისა და შრომის ნაყოფი გახლდათ.

რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებიდან დაბრუნებული ქართველი პროფესურა მშობლიურ უნივერსიტეტში ევროპული განათლების დანერგვას ესწრაფოდა. ქართული უნივერსიტეტი ერის ინტერესების გამომხატველი უნდა ყოფილიყო. მას ქართველი ახალგაზრდობა ეროვნული სულისკვეთებით უნდა აღეზარდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების შესატყვისი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებით მოემარაგებინა. ქართველი მოაზროვნენი უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო გეგმის შედგენისას საზღვარგარეთის სამეცნიერო კერებში დადგენილი ტრადიციული განათლების შესატყვისი სასწავლო წესებით ხელმძღვანელობდნენ, რომელთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში გატარებასაც, ივანე ჯავახიშვილი თავის თანამოაზრეებთან ერთად აქტიურად ცდილობდა. ევროპიდან და რუსეთიდან მის მიერ უნივერსიტეტში მოწვეული იქნენ ცნობილი პროფესორები: ალექსანდრე ნათინსონი, რიხარდ ფოგელი, პრელლი, მაქს მიულერი, დირრი, მ. დოვნორ-ზაპოლსკი, ჟან ლუი ჟირო, ე. ოეთელი, გუსტავ ჰასე, სტარკოვსკი, ბრიუნი, ი. კრილოვი, ს. პოკროვსკი და სხვანი.

ქალი, ფემინიზაცია და გლობალიზმი

გლობალიზმმა და მისმა გამოწვევებმა ჯერჯერობით მხოლოდ ურთულესი შეკითხვები გააჩინა, მთავარი შეკითხვა კი ის არის, გადააფასებს თუ არა ახალი ეპოქა ცივილიზაციის მიერ ამ შეკითხვებზე კაცობრიობის მიერ უკვე გაცემულ პასუხებს?

გლობალიზმსა და მის გამოწვევებს შეეხებოდა ახალგაზრდულ კლუბ „გენერატორ 9.8“-ში კულტურის მკვლევრის, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის ლელა ფირალიშვილის მიერ წაკითხული საჯარო ლექცია, რომლის სათაურმა — „ფემინიზმი, როგორც გლობალიზაციის ერთ-ერთი მითი” — ბევრი აღაშფოთა, ბევრი დააბნია, ნაწილი კი, უბრალოდ, დააინტერესა.

„გლობალური ეპოქის პოსტკულტურული ვითარება, შესაძლოა, მხოლოდ შემდეგნაირად აღიწეროს: ტრანსკულტურული, ტრანსესთეტიკური, ტრანსრელიგიური, ტრანსმეცნიერული, ტრანსპერსონალური, ტრანსსექსუალური”, – მიაჩნია ლელა ფირალიშვილს. მისი დაკვირვებით, ყველაფერი ეს შედეგია იმ პროცესისა, რომელიც მოდერნიზმის ეპოქაში დაიწყო: „ღმერთი მოკვდა!” – თქვა ფრიდრიხ ნიცშემ და ადამიანებმაც დაიჯერეს, რომ ღმერთი აღარ არის და ისინი საკუთარი თავისუფლების პირისპირ აღმოჩნდნენ, რასაც ყველა მანამდე არსებული ტაბუს რღვევა მოჰყვა”, – ამბობს მკვლევარი. საბოლოოდ, მივიღეთ ვითარება, სადაც ყველაფერი არის ტრანს მდგომარეობაში და აღარ არსებობს ცალსახა და მკაფიო პასუხები ფუნდამენტურ შეკითხვებზე. სამაგიეროდ, არსებობს უკიდეგანო თავისუფლებები, რომელთაც ყველა უძველესი ტაბუ მოეხსნა.

„ძალზე ძნელია, ამ ყოველივეს კულტურის ახალი პარადიგმა უწოდო, რადგან იგი კულტურის პროტომდგომარეობის ახალ, ანტიქრონოტიპულ აღწერას უფრო ჰგავს”, – ამბობს ლელა ფირალიშვილი. კულტუროლოგი იმ წინაპირობებზე საუბრობს, რომელთაც მოიტანეს ახალი ვითარება, იყენებს სხვადასხვა ხალხების უძველეს მითოლოგიას, სადაც დაილექა კულტურის პირველი ნიშნები, პირველი პასუხები მთავარ შეკითხვებზე ყოფნისა და არყოფნის, მამაკაცურისა და ქალურის, ქაოსისა და კოსმოსის, ღმერთისა და ადამიანის ურითიერთდამოკიდებულების შესახებ; მოგვიანებით, უკვე საავტორო ეპოქაში, იმავე შეკითხვებზე კაცობრიობის საუკეთესო ავტორები ცდილობდნენ პასუხების გაცემას, სწორედ ამ ავტორთა აზრების სიმრავლემ და განსხვავებულობამ შექმნა დღევანდელი კულტურა თავისი მრავალფეროვნებით, თუმცა, იგივე განვითარების შედეგია დღევანდელი პროტოვითარებაც: „ადამიანის შემოქმედებითი თავისუფლების მოპოვების წყევლა უძღები შვილის სრული კრახით დამთავრდა. სოციალური ცხოვრების წესი დემოკრატიულ ღირებულებებზე აიგო, სადაც განმხოლოებისა და ინდივიდუაციის სურვილს ტრანსპერსონალური ღირებულებები ცვლის და სადაც იუნგისეული არქეტიპული ფანტომები ახალმა კოლექტიურმა ფანტომებმა: დემოკრატიამ, კომუნიზმმა, კანონმა, კონსტიტუციამ და ა.შ. ჩაანაცვლა. სადაც პერსონა მოქალაქეა და არა ადამიანი, რომელიც უკვე „სოციალური ცხოველია” და რომელსაც სჯერა, რომ მზამზარეული „კანონთაგონი” ახალ სამოთხემდე მიიყვანს. ამ სამოთხეში კი „გლობალიზაციის” სული ტრიალებს – ტრანსპოლიტიკური, ტრანსესთეტიკური, ტრანსსექსუალური, კულტურისა და ყოველგვარი ინტენციისგან განძარცვული. ქალისა და კაცის კულტურის დაძაბულობაში მოქცეული ადამიანის საკრალური ყოფიერებისაგან თავისუფალი, შიშველი ანდროგენის სული”, – ამ მდგომარეობის აღწერის შემდეგ კულტუროლოგი სვამს შეკითხვას უშუალოდ ქალურობის და მამაკაცურობის შესახებ და ცდილობს გაარკვიოს, რა ნიშნებს იძლევა ამასთან დაკავშირებით ახალი ვითარება, რომელშიც ფემინიზაცია, იგივე ქალურის გააქტიურება აშკარაა.

„ფემინიზაციის უმთავრესი ნიშანი „ქალურობისაგან”, ხიბლისაგან, ცდუნების მაგიური უნარისგან ქალის ამოგდებაა. შედეგად, ის იქცევა ტიპიურ სოციალურ ცხოველად, რომელიც მხოლოდ სქემებში მოიაზრებს თავს. ამ სქემების აღწერა შეიძლება ასეთი იყოს:

ლელა ფირალიშვილი

1. ქალურობად აღიქმება სექსუალობისაგან დაცლილი, „ბარბის” მოდელის ლამაზმანი, რომელიც გარეგნული ნიშნებით ცდილობს ქალური სექსუალობის სივრცეში დარჩეს;

2. ლიდერი ქალები – ამ ტიპის ქალები საკუთარი ნებით ამბობენ უარს საკუთარ ქალურობაზე და სოციალური სივრცის ათვისების ხარჯზე ცდილობენ თვითრეალიზაციას. ისინი სოციალურ სტრუქტურირებას მამაკაცური ფორმების ხარჯზე ცდილობენ;

3. ე.წ. რევოლუციონერი ქალები, რომლებიც ქალთა უფლებებისათვის იბრძვიან და ამ უფლებების განხორციელებას მხოლოდ სოციალურ ველში ძალაუფლების მამაკაცური დისკურსის „ქალის” ფიგურით ჩანაცვლებაში ხედავენ;

4. ე.წ. ინტელექტუალური ქალები, რომლებიც ხვდებიან რა, რომ ქალური სუფევა დაკარგეს, ისტერიულად ცდილობენ, წიგნიერი ინტელექტუალის როლი მოირგონ, რითაც კიდევ უფრო სცილდებიან საკუთარ ქალურობას“.

ასე აღწერს ფემინიზაციის შედეგად მოტანილ მდგომარეობას მკვლევარი: „სად არის ადგილი ქალურობისათვის, სად არის მისი სუფევა, ან ქალური ძალმოსილების ნება, რომელიც ყველა ლამაზმანის, ინტელექტუალის, ყველა ლიდერის, სოციალური მოღვაწის, რევოლუციონერის საპირწონედ ლეონარდოს ჯოკონდას აქვს?” — სვამს კითხვას მკვლევარი და ფიქრობს, რომ „ქალურობა ყოველთვის ღვთაებრივია, ყოველთვის არსებული სტრუქტურის ბზარია, რომლიდანაც განზომილებათა უსასრულო პერსპექტივა იხსნება და ჩვენი დროის კულტურის ჩიხს სწორედ ამგვარი ქალურობის გამორიცხვა იწვევს”.

საჯარო ლექციის ფორმატში, ალბათ, შეუძლებელია სრულად ამოწურო კულტურის დღევანდელი გამოწვევების თემა, რომელთა პირისპირაც გლობალიზმმა მთელი პლანეტა და ცალკეული ინდივიდები დააყენა, თუმცა, ლელა ფირალიშვილის მიერ შემოტანილი ახალი დისკურსი იძლევა იმის საშუალებას, რომ განსხვავებული პასუხები გაჩნდეს უმთავრეს შეკითხვებზე, რომლებიც დღეს ჩვენშიც ხშირად გაისმის და არაერთი სიღრმისეული კონფლიქტის საფუძველი ხდება.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა

მერაბ მამარდაშვილი და ფილოსოფიის გარდაუვალობა

ლევან გიგინეიშვილი

ფილოლოგ ლევან გიგინეიშვილის საჯარო ლექციამ თემაზე „მერაბ მამარდაშვილი და ფილოსოფიის გარდაუვალობა” სტუდენტების დიდი ინტერესი გამოიწვია. აუდიტორია 214-ში, პირდაპირი მნიშვნელობით, ტევა არ იყო, თუმცა, მიუხედავად ამისა, ახალგაზრდები ბოლო წუთამდე დარჩნენ ლექციაზე. საჯარო ლექცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა თვითმმართველობისა და განათლების დეპარტამენტის მიერ იყო ორგანიზებული.

ლექტორი შეეცადა ახალგაზრდებამდე ფილოსოფოსისა და მოაზროვნის მერაბ მამარდაშვილის სათქმელი მიეტანა, რომელსაც თავის დროზე მამარდაშვილი სწორედ საჯარო ლექციების ფორმით გადასცემდა უნივერსიტეტისა და ფილოსოფიის ინსტიტუტში შეკრებილ აუდიტორიას.

„მე კი აღარ ვაკეთებ ამას, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემშია. ჩემში შეიძლება მოქმედებდეს ვიღაც სხვა. აქ არის ცნება საკუთარი აქტისა, ან უცხო აქტისა შენში. ჩვენ ვიყავით მარიონეტები ჩვენი საკუთარი აზრებისა, რომლებიც არ იყო ჩვენი აზრები. პავლე მოციქულის ტერმინოლოგიაში, ეს იქნება ცოდვის ხმა, რომელიც ჩვენ გვგონია ჩვენი საკუთარი ხმა. როგორ გავარჩიოთ ჩვენი ხმა სხვისი ხმისგან? რა არის თქვენს თავში თქვენი საკუთარი ხმა და რა არის, მაგალითად, იდეოლოგიის ხმა, რომელიც ჩამოკიდებულია სწორედ იმაზე, თუ რა გვაწყობს ჩვენ, რა აწყობს ჩვენს სხეულს და რომელიც აარიდებს თავს ზღვრის სახეს, სიკვდილის სახეს? უნდა გავბედოთ და დავინახოთ რეალობა: რეალობას ყოველთვის აქვს ხმა სიკვდილისა... სინამდვილეში ყველა ციხე ჩვენ მიერ არის აშენებული და ჩვენ საკუთარი თავის მონები ვართ – ესეიგი, მონა შეიძლება იყო სხვა ადამიანისა და იყო მონა შენი თავისა, როგორც ადამიანისა”, – ეს უშუალოდ მერაბ მამარდაშვილის სიტყვებია, რომელიც ერთ-ერთი ასეთი საჯარო ლექციის დროს არის ჩაწერილი გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე.

„ვიცი, რომ მამარდაშვილზე საუბარი ნიშნავს იმას, რომ დიდ ფეხსაცმელში უნდა ჩავდგა საკუთარი ფეხი და ამას ვაკეთებ თავმდაბლობით და იმ შეგნებით, რომ გაცილებით მეტი უნდა ვიცოდე მამარდაშვილზე, რომ ადეკვატურად ვილაპარაკო მასზე”, – აღნიშნა ლევან გიგინეიშვილმა ლექციის დასაწყისშივე, თუმცა, გიგინეიშვილი ამჯერად არ საუბრობდა მამარდაშვილზე, როგორც მეცნიერ-ფილოსოფოსზე, მან სცადა სტუდენტებამდე იმ ძირითადი სათქმელის მიტანა, რომელიც მამარდაშვილმა ყველას უთხრა.

„მამარდაშვილისთვის ფილოსოფია არ იყო მხოლოდ პროფესიული დისციპლინა, ის მასში დებდა ადამიანური არსებობის მოდუსის აზრს. ჩვენ ვართ ფილოსოფიური არსებები, ჰომო ფილოსოფიკუს, და ეს დიდი ტრადიცია ჯერ კიდევ ბერძნებიდან იღებს სათავეს”, – აღნიშნა ლექტორმა. ადამიანად ყოფნის მთავარი ინტრიგა არის დგომა სამყაროს იდუმალების პირისპირ და მარადიული სურვილი — შეიცნოს, გაიგოს სამყაროს საიდუმლო. ასეთი ინტერესი და ცნობისმოყვარეობა კი უპირობოა, ყოველგვარი პრაქტიკული დანიშნულების გარეშე და ის ყველაზე კეთილშობილური ადამიანური თვისებაა – სწორედ ამ გაგებით არის ყველა ადამიანი ფილოსოფოსი და სწორედ ამგვარ ადამიანობას სცნობს მერაბ მამარდაშვილიც.

ფილოსოფოსი ვერასოდეს ამოხსნის სამყაროს საიდუმლოს, სწორედ ამიტომ იგი მუდმივად უკმაყოფილო იქნება, ამდენად, უკმაყოფილებაა ფილოსოფიის და, შესაბამისად, ადამიანად ყოფნის ფორმა. სწორედ ამიტომ მიაჩნდა მამარდაშვილს, სხვა დიდ ფილოსოფოსთა მსგავსად, კმაყოფილი ადამიანი არასრულ ადამიანად და სწორედ ამას გულისხმობდა „სხვის ხმასა და ცოდვაში, სულიერ პატიმრობასა და მონობაში”. სიკეთე არის რაღაც შეუცნობელის მონატრება, რომელიც გიბიძგებს ძიებებისა და ფილოსოფოსობისკენ, რომელიც გაიძულებს, უკმაყოფილო იყო იმით, რასაც გაბატონებული იდეოლოგიები გთავაზობენ, სადაც ძალიან ადვილია გახდე კონფორმისტი და კმაყოფილი, თუკი დაკმაყოფილდები იდეოლოგიათა მიერ შემოთავაზებული ცხოვრების ხედვით, გაიზიარებ ამ იდეოლოგიათა პოსტულატებს და მოერგები მათ; რაც მთავარია, აღარ დასვამ შეკითხვებს და არ შეეცდები მათზე პასუხების მოძებნას. სწორედ ამგვარ კმაყოფილებას ეძახდა მამარდაშვილი ცოდვას და აქედან გამომდინარე ამბობდა, რომ ნებისმიერი ადამიანი გარდაუვლად ფილოსოფოსია, რადგან მისი მთავარი თვისებაა - ეჭვი შეიტანოს, უკმაყოფილო იყოს არსებულით და გამუდმებულად ეძებდეს და ენატრებოდეს უსასრულობა და მარადიული, ანუ ჭეშმარიტი, რომელიც არ ამოიხსნება და არ ითარგმნება ძალაუფლების სქემებსა და იდეოლოგიებში.

„ფიქრი საიდუმლო აქტია და რაღაცით ჰგავს შეყვარების მდგომარეობას, აქ მხოლოდ ცოდნით ვერ მიხვალ, აქ საჭიროა მუხტი, რაღაც გაელვება, რომელიც ფიქრის მდგომარეობაში ჩაგაგდებს, თუმცა, როდის მოხდება ეს გაელვება, არავინ იცის. ამიტომ, როგორც მამარდაშვილს უყვარდა თქმა: იმუშავეთ სანამ ნათელია, რადგან არ გამოგეპაროთ ეს მომენტი”.

მამარდაშვილის თქმით: შრომა არის დრო, იგივე ძალისხმევა სიცოცხლეში – რამდენ ახალგაზრდამდე მიიტანა მამარდაშვილის ეს თეზა ლევან გიგინეიშვილმა ძნელი სათქმელია, თუმცა სტუდენტების ინტერესი, რომ გაიგონ და მოისმინონ რაღაც ახალი, სწორედ იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი მზად არიან ეძებონ და დაელოდონ იმპულსს, რომელიც სულ სხვაგვარი ფიქრის დაწყებისკენ უბიძგებს მათ, როგორც ადამიან-ფილოსოფოსებს.

მოამზადა
ლელა კურდღელაშვილმა



ხედვა

ქართული ენა პირველ ქართულ უნივერსიტეტში აღარ არის პრიორიტეტული?!

2005-2006 წლებში საუნივერსიტეტო სივრცეში რეფორმა ჩატარდა. ცვლილებები განსაკუთრებით მტკივნეულად ჩვენს უნივერსიტეტს შეეხო, რამაც თავის დროზე მასობრივი პროტესტი გამოიწვია. ამის თაობაზე გევრი ითქვა და დაიწერა. რეფორმის მამამთავრები ცვლილებებს დადებითად აფასებდნენ; ჩვენ განსხვავებული აზრი გვქონდა. ახლახან თავი მოვუყარეთ ჩვენს თუ სხვის პუბლიკაციებს ამ თემაზე და ერთ წიგნად შევთავაზეთ მკითხველს („დედა უნივერსიტეტის ძნელგედობის ჟამი. 2004-2013“, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 2016 წ.). ამ წიგნში რეფორმის ზოგად ასპექტებზე და მის შედეგებზეა საუბარი; იმჟამინდელი საპროტესტო მოძრაობის ისტორიაა გადმოცემული...

დღეს გვსურს კონკრეტული საუბარი იმაზე, თუ იმ „რეფორმამ“ რა გავლენა იქონია სასწავლო პროცესზე; კერძოდ, რა მდგომარეობა შეუქმნა ქართულ ენას ამ ცვლილებებმა ჩვენს უნივერსიტეტში. ვისაუბრებთ მხოლოდ იმის თაობაზე, 2005 წლის შემდეგ რა შეიცვალა, როგორ და რა შედეგები მოჰყვა ამ ცვლილებებს.

2005 წლამდე ქართული ენა („ქართული მეტყველების კულტურა“) საუნივერსიტეტო საგანი იყო: ისწავლებოდა ყველა არაჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ყველა სპეციალობაზე. მიაჩნდათ, რომ მაღალკვალიფიციური ქართველი სპეციალისტის აღზრდა ამის გარეშე ვერ მოხერხდებოდა (იგულისხმება ქართველი ეკონომისტი, ქართველი იურისტი, ქართველი ბიოლოგი და ა.შ.). 2005 წლიდან ეს საგანი აღარ ისწავლება. განმარტავენ, მას „აკადემიური წერა“ ჩაენაცვლაო. არ არის ასე: ჯერ ერთი, „აკადემიური წერა“ ყველა ფაკულტეტზე არ ისწავლება და, მეორეც, არაერთ სპეციალობაზე ამ საგანს არასპეციალისტები ასწავლიან; ე.ი. „აკადემიური წერა“ არ არის „ქართული მეტყველების კულტურის“ მონაცვლე...

გატარებული „რეფორმის“ „წყალობით“, მომავალ ფილოლოგებს არასრულყოფილ ცოდნას ვაძლევთ:

ა) ქართული ენისა და ლიტერატურის მომავალი სპეციალისტებისათვის აღარ არის სავალდებულო საგანი „ქართული დიალექტოლოგია“; იგი არჩევით საგანთა ნუსხაში შეიტანეს (სავალდებულოა მხოლოდ ერთი მცირერიცხოვანი ჯგუფისათვის — ქართველური ენების სპეციალობისათვის)... ეს იგივეა, მათემატიკოსის დიპლომი მივცეთ კაცს და არ ვასწავლოთ ალგებრა ან გეომეტრია...

ბ) დასავლეთ ევროპის ენების სპეციალობაზე დღიდან ამ დარგის შემოღებისა ერთ-ერთი ძირითადი საგანი იყო „ქართული ენა“. ცხადია, მშობლიური ენის მეცნიერული ცოდნის გარეშე ძნელია (თუ საერთოდ შესაძლებელია) უცხოური ენის მეცნიერული შესწავლა; ასე იყო და ასეა დღესაც: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო შრომების თემატიკა ჩვეულებრივ ქართული ენის მეცნიერულ ცოდნას ითვალისწინებს; ეს თემატიკა გულისხმობს ინგლისურ-ქართული, გერმანულ-ქართული, ფრანგულ-ქართული და ა.შ. ენათა შეპირისპირებით კვლევას... რა გამოდის, ვთხოვთ მეცნიერულ ანალიზს ქართულისას და არ ვასწავლით ქართულ ენას!..

გ) იგივე ითქმის აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალობაზეც: სომხურ-ქართული, თურქულ-ქართული, სპარსულ-ქართული, არაბულ-ქართული და ა.შ. ენობრივი ურთიერთობების კვლევა იყო და არის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ამ ფაკულტეტის არსებობისა. ქართული ენა ამ ფაკულტეტზე იმ პროგრამით ისწავლებოდა, როგორითაც ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე (საგნები: ახალი ქართული ენა, ძველი ქართული ენა, ქართული დიალექტოლოგია, ენის ისტორია და სხვ.). დღეს აღმოსავლეთმცოდნეობის სტუდენტები ქართულ ენას აღარ სწავლობენ... არადა, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებში ქართული ენის აღმოსავლურ ენებთან მიმართებას კვლავ იკვლევენ... ანუ: ამ შემთხვევაშიც მეცნიერულ ანალიზს ვთხოვთ იმ ენისას, რომელსაც არ ვასწავლით...

დ) საქართველოს ისტორიის მომავალი სპეციალისტებისათვის ამ საუნივერსიტეტო დარგის არსებობის მანძილზე სავალდებულო საგნად ითვლებოდა „ძველი ქართული ენა“. დიდმა ივანე ჯავახიშვილმა თურმე თვით აკაკი შანიძეს სთხოვა საქართველოს ისტორიის მომავალი სპეციალისტები ემეცადინებინა ძველ ქართულ ენაში... ეს ტრადიცია 2005 წლიდან წარსულს ჩაბარდა და საქართველოს ისტორიის მომავალი სპეციალისტები გამოიკვლევენ ძველქართულ საისტორიო წყაროებს ისე, რომ არ ეცოდინებათ ძველი ქართული ენა!... როცა არასრულყოფილი ცოდნის მიცემაზე ვსაუბრობდით, ამასაც ვგულისხმობდით...

ე) საგანგაშოდ გვეჩვენება ის ვითარება, რაც კავკასიური ენების სპეციალობაზეა შექმნილი. ქართული ძირითადი კავკასიური ენაა (არნ. ჩიქობავას დაარსებულ კავკასიურ ენათა განყოფილებაზე ასეთი საგანი ისწავლებოდა — „სემინარი ძირითად კავკასიურ ენაში“, იგულისხმებოდა ქართული ენა). კავკასიური ენების განყოფილებაზე „რეფორმამდე“ იკითხებოდა: „ახალი ქართული ენა“, „ძველი ქართული ენა“, „ქართული დიალექტოლოგია“, „ქართული ენის ისტორია“, „ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა“ და ეს ლოგიკურიც იყო: ქართული ერთადერთი უძველესი წერილობითი ძეგლების მქონე კავკასიური ენაა; სხვა ენების შესწავლისა და კვლევისათვის ქართულის ცოდნის აუცილებლობა ფაქტია... დღეს? კავკასიური ენების სპეციალობაზე იკითხება ერთსემესტრიანი „ქართული ენა“... ესაა და ეს!.. ფაქტობრივ, ის ტრადიცია, რაც დაამკვიდრეს არნ. ჩიქობავამ, ვ. თოფურიამ, ს. ჯანაშიამ, ქ. ლომთათიძემ, გ. როგავამ და მრავალმა სხვამ, 2006 წელს წარსულს ჩაბარდა!.. ესაა „რეფორმის“ შედეგი!...

ორიოდე სიტყვას ვიტყვით საგანთა და სტრუქტურულ ერთეულთა შესახებაც:

ა) ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ორ ძირითად პერიოდს გამოყოფენ — ძველ ქართულ ენასა და ახალ ქართულ ენას; შესაბამისად, ტრადიციულად ორი საგანი ისწავლებოდა — „ძველი ქართული ენა“ და „ახალი ქართული ენა“. ქართული ფილოლოგიის სპეციალობაზე „ახალი ქართული ენა“ საგანთა ჩამონათვალში დღეს აღარაა; ჩაანაცვლეს „ქართული გრამატიკის საფუძვლებით“. განგვიმარტეს: ეს იგივე საგანიაო, ვასწავლით ახალი ქართული ენის „ანბანს, ფონეტიკას, წარმოქმნას, თხზვას, სახელებსა“ და ა.შ. საერთოდ ასეა: ანბანს პალეოგრაფია სწავლობს, ფონეტიკა ცალკე დარგია, წარმოქმნასა და თხზვას ლექსიკოლოგია სწავლობს... რა გამოვიდა? საგანს დაარქვეს გრამატიკა და ასწავლიან პალეოგრაფიას, ფონეტიკას, ლექსიკოლოგიასა და გრამატიკას... ეს იგივეა, საგანს დავარქვათ გეომეტრია და ვასწავლოთ ალგებრა, ზოგადი მათემატიკა და ა.შ. ფაქტობრივ დაირღვა მიმართება საგნის სახელწოდებასა და მის შინაარსს შორის... თანაც, „გრამატიკის საფუძვლები“ ზოგადი საგანია და ვერ იქნება „ახალი ქართულის“ მონაცვლე... კურიოზულად ჟღერს ეს ცვლილება... და ეს ხდება საქართველოს უპირველეს უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც მაგალითის მიმცემია სხვათათვის!.. ესა ცვლილება ცვლილებისათვის...

ბ) „რეფორმატორებმა“ გადაწყვიტეს, ფეხი აეწყოთ იმჟამინდელი პოლიტიკური მოძრაობისათვის (გავიხსენოთ ლოზუნგები: „ისტორია იწყება ჩვენგან“... „პირველად ისტორიაში“...) და წერტილი დაუსვეს აკაკი შანიძისა და ვარლამ თოფურიას საფუძველჩაყრილ, ათეული წლობით ნაშენებ ახალი ქართული ენისა და ძველი ქართული ენის კათედრებს: გადაჯგუფდა საგნები, „ახალი ქართული ენის კათედრას“ „ქართველური ენათმეცნიერების“ დეპარტამენტი ჩაენაცვლა; „ძველი ქართული ენის კათედრას“ მიემატა — „ტექსტოლოგიური კვლევები“... ვერსად მოვიძიე ოფიციალური დოკუმენტი ამ ცვლილებების დასაბუთებისა. განმიმარტეს: ასე მოისურვეს „ყოვლისშემძლე რეფორმატორებმა“ და შეუცვალეს სახელიო... ისევ დაირღვა ლოგიკური მიმართებები: ძველი ქართულიც ქართველური ენათმეცნიერებაა, თუმცა... ორი კათედრა გააერთიანეს „ქართული ენის ინსტიტუტად“... და შედეგად მივიღეთ: ცვლილებათა თვითმიზნურმა ინტერესმა მთელისა და ნაწილის ლოგიკური მიმართების საკითხი დაარღვია: თითქოს ქართული ენის ნაწილი არის ქართველური ენები!... ისევ კურიოზი და შეუფერებელი ცვლილება ისეთი რანგის უმაღლესი სასწავლებლისათვის, როგორიც ჩვენი უნივერსიტეტია...

ძველი ქართული ენის კათედრისათვის „ტექსტოლოგიური კვლევების“ მიმატება პიროვნული ინტერესებით იყო ნაკარნახები და არა ლოგიკური აუცილებლობით (აქ სხვა პრობლემებიც იჩენს თავს...). მოხდა სპეციალობათა „მორგება“ პიროვნებებზე და არა პიროვნებათა შერჩევა სპეციალობების მიხედვით...

მეტყვიან, მერე რაო... რა და ის, რომ: ვებრძვით ტრადიციებს და ვახდენთ პირველი უმაღლესი სასწავლებლისათვის შეუფერებელ, ალოგიკურ, კურიოზულ ცვლილებებს... ვამკვიდრებთ არაპროფესიონალიზმსა და არაკომპეტენტურობას...

საგაზეთო წერილში ამ თემაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ... საერთოდ, სერიოზული შესწავლის საგანი უნდა გახდეს სავალდებულო და არასავალდებულო საგანთა მიმართება. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ესა თუ ის საგანი ჩნდება არა სპეციალობის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ კონკრეტული პიროვნების ინტერესის გათვალისწინებით... და სხვა... და სხვა...

არსებობს უფრო ზოგადი პრობლემაც: ქართული ენა პირველ ქართულ უნივერსიტეტში აღარ არს პრიორიტეტული! გავიხსენოთ: 1918 წელს გახსნილ უმაღლეს სასწავლებელს ივანე ჯავახიშვილის წინადადებით ეწოდა „ქართული უნივერსიტეტი“ და მას ქართველოლოგიური მეცნიერებების განვითარება დაუსახეს უპირველეს მიზნად (იხ. პეტრე მელიქიშვილის სიტყვა, თქმული უნივერსიტეტის გახსნის დღეს)... ისიც გავიხსენოთ, რომ ქართული საქართველოს სახელმწიფო ენაა და მერე ჩავიკითხოთ ამონარიდი თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ცნობარიდან:

„ფაკულტეტზე პრიორიტეტულია უცხოური ენების სწავლება. ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს:

– ევროპულ ენებს (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, ახალი ბერძნული, ნორვეგიული, შვედური).

– სლავურ ენებს (რუსული, პოლონური, ჩეხური,ბულგარული).

– აღმოსავლურ ენებს (არაბული, სპარსული, თურქული, ებრაული, იაპონური, ჩინური).

– კლასიკურ ენებს (ლათინური, ძველი ბერძნული).

– კავკასიურ და კავკასიაში გავრცელებულ ენებს (აფხაზური, ადიღეური, ჩეჩნური, სომხური, ოსური, აზერბაიჯანული).

ქართველურ ენებს (ქართული, სვანური, მეგრული, ლაზური)“.

შეიძლება სიმწრით გაგვეღიმოს: კარგია, რომ ქართული ენა საერთოდ გაახსენდათ და უცხოური ენების „და სხვაში“ არ მოხვდა... ამ სქემაში სხვა რამეც არის პრობლემა, მაგრამ ამის თაობაზე სხვა დროს...

სამწუხაროდ ჩვენდა და საუბედუროდ ქართული ენისა, „რეფორმამ“ და „რეფორმატორებმა“ სასაუბრო მასალა მრავლად მოგვცა... ესეც თემაა: ვინ ასწავლის, რას და როგორ... ვიყენებთ თუ არა სრულად იმ ინტელექტუალურ რესურსს, რაც ამ სფეროში გვაქვს... თუმცა ამჯერად აქ შევწყვეტთ საუბარს. ფაქტია: პირველ ქართულ უნივერსიტეტში, დედა უნივერსიტეტში, ქართული ენის ბედის ბორბალი უკუღმა დაბრუნდა. ვითარება უნდა შეიცვალოს, გამოსწორების გზები დაისახოს...

მივმართავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატსა და აკადემიურ საბჭოს:

შეიქმნეს კომპეტენტური კომისია მიუკერძოებელი პირებისაგან, რათა შესწავლილ იქნეს სახელმწიფო ენის სწავლების მდგომარეობა ჩვენს უნივერსიტეტში; შეფასდეს ჩატარებული „რეფორმების“ შედეგები და დაისახოს შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების ღონისძიებები.

გიორგი გოგოლაშვილი

პროფესორის გვერდი

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალ „წელიწდეულის“ სარედაქციო კოლეგიას

2015 წლის ნოემბერში თბილისში გაიმართა საერთაშორისო კონგრესი „ქართველოლოგიის პრობლემები და პერსპექტივები“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს საპატრიარქოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ იყო ორგანიზებული. გავითვალისწინე კონგრესის ორგანიზატორების სურვილი და მოვამზადე მოხსენება „თანამედროვე ქართული ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ამოცანები“. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია კონგრესის მონაწილე უცხოელ ქართველოლოგებში, რის გამოც მიზანშეწონილად მივიჩნიე მისი სტატიის სახით გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „წელიწდეულში“.

სტატიაში ლექსიკოგრაფიული ცენტრის მრავალწლიან გამოცდილებაზე და კვლევებზე დაყრდნობით (რომლებიც ჩატარდა ინგლისური, გერმანული, შვედური, იტალიური, ფრანგული და სხვა ენების მასალაზე), ჩამოყალიბებულია თანამედროვე ქართული აკადემიური ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ამოცანები, როგორც ზოგადი ლექსიკოგრაფიის, ისე დარგობრივი ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისით. ზემოხსენებული საკითხები სტატიაში ზოგადადაა მიმოხილული, რადგან სტატია დარგის განვითარების ამოცანებს ეხება და არა ერთ რომელიმე კონკრეტულ ლინგვისტურ პრობლემას. ლექსიკონების შედგენასთან დაკავშირებული კონკრეტული მეთოდოლოგიური საკითხები კი დეტალურადაა გაანალიზებული ჩემს სხვა პუბლიკაციებში, რომლებიც მითითებულია სტატიის ტექსტში და რომელთა სია დართული აქვს აღნიშნულ სტატიას.

„წელიწდეულის“ სარედაქციო კოლეგიამ გამომიგზავნა ორი უარყოფითი რეცენზია ჩემს სტატიაზე და უარი მითხრა სტატიის დაბეჭდვაზე. იმ პერიოდში, როდესაც აღნიშნული უარყოფითი რეცენზიები მივიღე, უკიდურესად დაძაბული სამუშაო რეჟიმი მქონდა, ვმუშაობდი ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესის მასალების რედაქციაზე და რეცენზიებზე, პასუხის გაცემის საკითხი დროებით გადავდე. კონგრესის დასრულების შემდეგ მივუბრუნდი რეცენზიებს და მივხვდი, რომ მათი უპასუხოდ დატოვება არ იქნებოდა სწორი. ორივე რეცენზენტს გავუგზავნე პასუხები, რომლებიც ასევე გამოქვეყნებულია დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის ბლოგზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის (პასუხი პირველ რეცენზენტს — http://blog.dictionary.ge/archives/570; პასუხი მეორე რეცენზენტს — http://blog.dictionary.ge/archives/575). იმედია, ამ პასუხებს სარედაქციო კოლეგიაც გაეცნობა, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ ის უხერხულობები, რაც „წელიწდეულის“ აღნიშნულ ნომერზე მუშაობისას შეიქმნა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ რეცენზენტებისათვის სარეცენზიო სტატია არ იყო ანონიმური, მათ იცოდნენ — ვინ იყო სტატიის ავტორი, რადგან ეს სტატიაში კარგად ჩანს. ამდენად, დაირღვა ანონიმურობის პრინციპი, რეცენზენტები ანონიმური იყვნენ ავტორისთვის, ავტორი კი არ იყო ანონიმური რეცენზენტებისთვის.

თინათინ მარგალიტაძე

რეცენზიები ზერელედ, არაკვალიფიციურადაა დაწერილი და შეიცავს შეურაცხმყოფელ, ცინიკურ განცხადებებს (იხ. ჩემი პასუხები). რეცენზიების გაცნობის შემდეგ რჩება შთაბეჭდილება, რომ რეცენზენტებმა სტატია ვერ გაიგეს, ან ზერელედ გადაიკითხეს, ან პირადი ანტიპათია აქვთ ავტორის მიმართ.

რეცენზიებში არის ისეთი წინადადებები, რომლებიც საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს იმას, რომ ეს რეცენზიები ენათმეცნიერის დაწერილია. მაგ. „უპირველეს პრობლემად სტატიაში წარმოდგენილია ორენოვან ლექსიკონებში რუსული ენის გავლენის შედეგები და რუსულიდან თარგმნის უარყოფა“; „არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სტილისტიკური გაუმართაობა, რაც სტატიაში შეინიშნება. ხშირად წინადადებები სტილისტიკურად დაუხვეწავია“; „ავტორი მსჯელობს ევროპული ენებისა და ქართული ენის სინონიმებზე, რომლებიც ხშირად ვერ ფარავენ სემანტიკას“ და სხვა.

სამეცნიერო სტატიების რეცენზირება არ არის მექანიკური და მარტივი პროცესი. ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესის სტატიების სარეცენზიოდ გაგზავნამდე, კრებულის რედაქტორები მთელი კვირა ვსწავლობდით პოტენციური რეცენზენტების შრომებს, რათა თითოეული სტატიისათვის კვალიფიციური რეცენზენტი შეგვერჩია. აღარაფერს ვამბობ მიღებული რეცენზიების ანალიზსა და შემდგომ ნაბიჯებზე. სამეცნიერო კრებულის მომზადება, უდავოდ, დიდ დროსა და შრომას მოითხოვს.

ერთ-ერთი რეცენზენტი ბევრს საუბრობს იმაზე, რომ სტატია არ არის კვლევაზე ორიენტირებული და „კვლევაზე ორიენტირებული“ სტატიის სტრუქტურასა და პრინციპებს მასწავლის, თითქოს ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტი ვიყო და აკადემიური წერის ლექციას მიკითხავდეს.

რას ნიშნავს „კვლევაზე ორიენტირება“? შეიძლება დარგის განვითარების ამოცანების განსაზღვრა კვლევის გარეშე? რა არის ეს „კვლევაზე ორიენტირებული“? ესე იგი თუ ნაშრომი არ ჯდება იმ სტერეოტიპში, რაც მრავალი წლის წინ გვასწავლეს, ის არ არის კვლევა? ლექსიკოგრაფიულ ცენტრში მრავალწლიანი მუშაობისა და კვლევის შედეგად შეიქმნა ახალი ევროპულ-ქართული აკადემიური ლექსიკონების შედგენის მეთოდოლოგია და ეს არ არის „კვლევაზე ორიენტაცია“?

ერთ-ერთი რეცენზენტი წერს, რომ ეს სტატია საინტერესოა მხოლოდ „ლექსიკოგრაფიული ცენტრის მუშაობით დაინტერესებულ პირთათვის“.

ამ ცინიკურ განცხადებაში იკითხება ის საერთო დამოკიდებულება ლექსიკოგრაფიის მიმართ, რაც, სამწუხაროდ, ყველაზე ძნელი დასაძლევი სწორედ აკადემიურ წრეებში აღმოჩნდა. ამ ცინიკური დამოკიდებულების შედეგი იყო ის, რომ წლების წინ, რეფორმების შემდგომ უნივერსიტეტში, კონკურსების დროს, ტესტების კრებული ითვლებოდა სამეცნიერო შრომად, ხოლო ლექსიკონი ავტორს შრომად არ ეთვლებოდა. ქართველი ლექსიკოგრაფების დიდი ძალისხმევითა და ორი საერთაშორისო სიმპოზიუმის წყალობით, რომლებიც ბათუმში გაიმართა 2010 და 2012 წლებში, ეს ველური დამოკიდებულება ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკოგრაფების მიმართ შეიცვალა. დიდი იმედი მაქვს, რომ ლექსიკოგრაფიული ცენტრის ორგანიზებით, მიმდინარე წლის სექტემბერში, დიდი წარმატებით ჩატარებული ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესი და კონგრესზე მიღებული რეზოლუცია ლექსიკოგრაფიის სამეცნიერო სტატუსის შესახებ რადიკალურად შეცვლის ლექსიკოგრაფიის მნიშვნელობის გააზრებას ჩვენს ქვეყანაში.

ბოლოთქმა

პატივცემული რეცენზენტების მიერ დაწუნებული სტატია იბეჭდება სხვა უნივერსიტეტის რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში. გულდასაწყვეტი ისაა, რომ ლექსიკოგრაფიული ცენტრი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა, ორენოვანი ლექსიკოგრაფიის სკოლა ამ უნივერსიტეტში შეიქმნა და უკვე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება, ამ სკოლაში ჩამოყალიბებული დარგის განვითარების ამოცანების შესახებ სტატია კი სხვა უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში იბეჭდება.

კიდევ ერთმა ჩემმა კოლეგა-ანგლისტმა მიიღო უარყოფითი რეცენზია სტატიაზე, რომელიც ,,წელიწდეულის“ იმავე ნომერში დასაბეჭდად გაუგზავნა სარედაქციო კოლეგიას. მან მკაცრად და არგუმენტირებულად მოსთხოვა პასუხი ჟურნალის რედაქციას იმის გამო, რომ მისი სტატია არაკომპეტენტურ პირს გადაუგზავნეს სარეცენზიოდ.

შედეგად, სტატია უცვლელი სახით იბეჭდება „წელიწდეულის“ იმავე ნომერში.

როგორც იტყვიან NO COMMENT

პატივისცემით
თინათინ მარგალიტაძე

საქველმოქმედო ტურნირი გიორგი ბეროშვილის დასახმარებლად

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის ინიციატივითა და ორგანიზებით ძალისმიერ სამჭიდში (ყველა ასაკობრივ კატეგორიაში) საერთაშორისო საქველმოქმედო ტურნირი გაიმართა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონისა და რეკორდსმენის გიორგი ბეროშვილის დასახმარებლად მოეწყო. ტურნირის ორგანიზატორმა, ძალისმიერი სამჭიდის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ვეტერანებს შორის მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ზურაბ ჭავჭანიძემ აღნიშნა, რომ შეჯიბრიდან შემოსული თანხა დაშავებული სპორტსმენის რეაბილიტაციას მოხმარდება.

ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა, თურქმა და სომეხმა სპორტსმენებმა.

როგორც პარაოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელმა გიორგი ნასიძემ აღნიშნა, საქართველოდან ტურნირში მონაწილეობა მიიღო პარასპორტსმენთა კლუბის წევრმა აკაკი ჯინჭარაძემ (28 წლის), რომელიც 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოვიდა. გიორგიმ წელს რიოს პარაოლიმპიადაზე წარმატებით იასპარეზა. იგი აქტიურად ემზადება შემდეგი პარაოლიმპიადისთვისაც, რომელიც 2020 წელს ტოკიოში გაიმართება. მონაწილეობა მიიღეს, ასევე, თურქეთიდან წარმოდგენილმა პარაოლიმპიური გუნდის წევრებმა.

ძალისმიერი სამჭიდის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ ქალებიც: ლილე შენგელია და მაიკო ბურნაძე.

ტურნირი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა 3 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს — 67 კგ-მდე წონით კატეგორიაში ჭაბუკებს შორის მსოფლიო რეკორდსმენი გახდა არკადი ჩაპანიანი, რომელმაც 200კგ. ასწია; 100კგ-მდე წონით კატეგორიაში ჭაბუკებს შორის მსოფლიო რეკორდი დაამყარა ლუკა გაბუნიამ, რომელმაც 225კგ. ასწია; ვეტერანებში 75კგ-მდე წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა თსუ-ის თანამშრომელმა გენადი სიგუამ, რომელმაც შტანგის ამოწევაში მსოფლიო რეკორდი მოხსნა — 150კგ.

„საქველმოქმედო ტურნირში მონაწილეობა ჩემთვის მეტი მონდომების მიზეზი გახდა, ვინაიდან ის მეგობრის, მსოფლიო ჩემპიონის გიორგი ბეროშვილის დასახმარებლად მოეწყო. მიხარია, რომ მსოფლიო რეკორდსმენი გავხდი და ვიცი, ეს წარმატება გიორგისაც ძალიან გაახარებს და გააძლიერებს. იმედი გვაქვს, იგი მალე ჯანმრთელი და ახალი გამარჯვებების სურვილით დაგვიბრუნდება!“ — აღნიშნა ლუკა გაბუნიამ.

პარასპორტსმენმა აკაკი ჯინჭარაძემ ფიზიკური მომზადების საუკეთესო მაგალითი აჩვენა, თავისი წარმატებული ასპარეზობით გიორგი ბეროშვილი გაამხნევა და მას, გულშემატკივრების სახელით, სპორტულ ასპარეზზე მალე დაბრუნება უსურვა.

შეჯიბრის დასასრულს, ყველასთვის სასიხარულოდ, მედპერსონალის დახმარებით, თავად გიორგი ბეროშვილი მოიყვანეს, რომელმაც მადლობა გადაუხადა თსუ-ის სპორტისა და კულტურის დეპარტამენტს და სპორტსმენებს თანადგომისთვის და მათთან ერთად სამახსოვრო ფოტო გადაიღო.

ტურნირის ბოლოს ყველა მონაწილეს სერტიფიკატი გადაეცა.

თამარ დადიანი

სამაგიდო თამაში „ვეფხისტყაოსანი“ და პოემის კორეული თარგმანი

„ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გამოცემის გამოფენა

კიმ ინ ჰანი

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებს პოემის კორეული თარგმანიც შეემატა. მისი ასლი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას კორეის საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა საქართველოში კიმ ინ ჰანიმ გადასცა. 22 ნოემბერს საზოგადოებამ „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე შექმნილი სამაგიდო თამაშიც იხილა, რომელიც პოემას კიდევ უფრო მარტივად დასამახსოვრებელსა და გასაგებს ხდის.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისათვის კორეელ ქართველოლოგს, პროფესორ ჩო ჯუ-კვანს 10 წელი დასჭირდა. მუშაობის პროცესში მას აღმოსავლეთმცოდნე ივანე ჩიქოვანი და სეულის უნივერსიტეტის უცხო ენების მაგისტრანტი რუსუდან ფირცხალავა ეხმარებოდნენ. თარგმანი თბილისის სახელმციფო უნივერსიტეტს საზეიმოდ გადაეცა შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა თქვა, რომ კორეის უმაღლეს სასწავლებლებში შოთა რუსთაველისა და მისი პოემის მიმართ ძალიან დიდი ინტერესი არსებობს: „განსაკუთრებულად მინდა მივულოცო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დიდი პოეტის შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნა. კორეაში ბევრი პროფესორი და მკვლევარია დაინტერესებული შოთა რუსთაველის შემოქმედებით. „ვეფხისტყაოსანი“ კორეულად სწორედ კორეის უნივერსიტეტის პროფესორმა თარგმნა. კიდევ ერთ პროფესორს ჰქონდა ამავე პოემის თარგმნის მცდელობა. იყო შემთხვევები, როდესაც მკვლევრები გარკვეულ ტაეპებს თარგმნიდნენ და თავიანთ ნაშრომებში ციტატების სახით იყენებდნენ. ვფიქრობ, ეს იმგვარი კულტურული საქმიანობაა, რომელიც ორ ქვეყანას და ორ უნივერსიტეტს კიდევ უფრო დააახლოებს“.

„ვეფხისტყაოსნის“ კორეულ თარგმანთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში სხვა ენაზე შესრულებული თარგმანები და პოემის 120-ზე მეტი გამოცემა გამოფინეს. დაცული იყო თარგმანისა და გამოცემის ქრონოლოგია 1720 წლიდან დაწყებული, როდესაც, ვახტანგ VI-ის ინიციატივით, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური ვერსია გამოვიდა, დღემდე. წარმოდგენილი იყო რამდენიმე ხელნაწერი და გამორჩეული ილუსტრაციები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სივრცეში რუსთაველის საიუბილეო თარიღის აღნიშვნას ბიბლიოთეკის დირექტორი ზურაბ გაიპარაშვილი შემდეგ მომენტებს უკავშირებს: „უპირველეს ყოვლისა, პოემისა და, ზოგადად, რუსთველის ყველაზე სიღრმისეული და მასშტაბური კვლევა ჩვენს უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული. სახელების ჩამოთვლაც საკმარისია, რომელთა ნაშრომებმაც, ფაქტობრივად, რუსთველოლოგიის დარგი შექმნეს: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, იუსტინე აბულაძე და შალვა ნუცუბიძე. მეორე მიზეზი ისაა, რომ საჯარო ბიბლიოთეკის შემდეგ, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ის ადგილია, სადაც პოემის ყველაზე დიდი კოლექციები ინახება“.

2016 წელი „ვეფხისტყაოსნის“ წლად გამოცხადდა და თსუ განსაკუთრებით აღნიშნავს ამ მოვლენას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსთველის უკვდავი პოემის კვლევა დაარსებისთანავე დაიწყო და დღემდე გრძელდება.

„დღეს გამოფენაზე წარმოდგენილია უნიკალური გამოცემები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1712 წელს ვახტანგ VI-ის დროინდელი პირველი ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ახლავს სერიოზული გამოკვლევა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პირველი მცდელობა მისი აკადემიური გამოცემისა. თსუ-ის ბიბლიოთეკაში, ასევე, ინახება ორი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ — 1834 წელს ავეტიკ გორგიჯანოვის და 1849 წელს სვიმონ ტერ სიმონოვის მიერ გადაწერილი ხელნაწერები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი კოლექციისთვის. დღეს კი საინტერესო საჩუქრები მივიღეთ და ჩვენი ბიბლიოთეკა კიდევ უფრო გამდიდრდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემებით“, — აღნიშნა ზურაბ გაიპარაშვილმა.

ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, რექტორის მოადგილე მიხეილ ჩხენკელი, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ლევან გელაშვილი

* * *

გამორჩეული ინტერესი იგრძნობოდა ახალგაზრდა ფილოლოგისა და კინომცოდნის, ლევან გელაშვილის ნამუშევრის მიმართ, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე სამაგიდო თამაში შექმნა. ავტორის თქმით, თამაშში მონაწილეობს ლიტერატურული რუკა, რომელიც პოემის გეოგრაფიას ეფუძნება; ასევე ფიგურები, რომლებიც ტარიელსა და ავთანდილს განასახიერებენ; კამათელი, ბარათები, რომლებზეც აფორიზმები წერია, და ვეფხის ტყავის ქსოვილისგან შეკერილი ქისა; ასევე წიგნი, სადაც თამაშის წესებზეა საუბარი და იქვე წერია პასუხები იმ შემთხვევისთვის, თუკი მოთამაშე აფორიზმის გამოცნობას ვერ შეძლებს. თამაშის მონაწილეთა რიცხვი 2-დან 10 მსურველამდეა. თამაშის წესებს მისი ავტორი, ლევან გელაშვილი, განმარტავს: „მოთამაშეები რიგრიგობით აგორებენ კამათელს და აკეთებენ შესაბამის სვლებს. ყველა სვლა გარკვეულ დავალებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, თუ კამათელი ოთხიანზე გაგორდა, ოთხიანი კი გრაგნილის ნიშანია, ე.ი. ბარათი უნდა ავიღოთ, რომელზეც აფორიზმის პირველი ნაწილი წერია. ყველა აფორიზმი „ოქროს კვეთის“ პრინციპით არის შექმნილი, რაც იმას ნიშნავს, რომ აფორიზმის პირველი ნაწილი ბარათზე წერია, მეორე ნაწილი კი შენ უნდა გამოიცნო. თუ გამოიცნობ, წინ მიიწევ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილზე რჩები. ქვიშის საათი ამბობს, რომ „გამოტოვე სვლა“. თუ მშვილდისარი ამოვიდა, ეს ნიშნავს, რომ ისრის მიმართულებით ერთი სვლა უნდა განახორციელო. თეთრი წრე სტარტზე დაბრუნებას ნიშნავს. აზარტი ძალიან დიდია, იმ გაგებით, რომ ბოლო სვლამდე გამარჯვებულის ვინაობა უცნობი რჩება... თამაში იმაზე არის ორიენტირებული, რომ ისწავლო. ერთხელ თუ ვერ გამოიცნობ აფორიზმს, ჩახედავ პასუხების ფურცელს და, რამდენიმე ასეთი ქმედების შედეგად, დაგამახსოვრდება. თუ არ იცი, ეს ტრაგედია სულაც არ არის, პირიქით, თამაში სწავლის ხალისს აძლიერებს“.

სამაგიდო თამაშის შეძენა თბილისის სხვადასხვა წიგნის მაღაზიაშია შესაძლებელი. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი გამოცემები კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობაში რუსთაველის საიუბილეო წლის ბოლომდე დარჩება.

„ვეფხისტყაოსანი“ და სამაგიდო თამაშეგის კულტურა საქართველოში

ლევან გელაშვილი, ***„ვეფხისტყაოსნის“ თემაზე სამაგიდო თამაშის ავტორი:***

— „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სამაგიდო თამაშები XIX საუკუნეში გამოჩნდა. საქართველოში პირველი ასეთი ლიტერატურული თამაში ილია ჭავჭავაძის დროს დაიბეჭდა. 1892 წელს 24 ივნისს გაზეთ „ივერიის“ 131-ე ნომერში გამოქვეყნებული იყო ვრცელი ინფორმაციული ცნობა, რომ ოზურგეთიდან მიუღიათ კ. თავართქილაძის მიერ დაბეჭდილი ლოტო, რომელიც ეფუძნებოდა პოემის აფორიზმებს. იქვე ახლდა ვრცელი განმარტება თამაშის წესების შესახებ. დასასულს ავტორი ასკვნიდა, რომ ეს თამაში დაეხმარებოდა მკითხველს „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად შესწავლაში. ამ პერიოდში გავრცელებული იყო ვეფხსიტყაოსნის და სხვა ლიტერატურული თამაშების შექმნა, რომელსაც ილია ჭავჭავაძეც ხელს უწყობდა. ლიტერატურული დაფის თამაშები ინტერაქტიური მოვლენაა, სადაც, ტექსტთან ერთად, ფსევდოგრაფიკული დეკორაცია და მკითხველის მაქსიმალური ჩართულობა წამყვანი სათამაშო სტრატეგიაა.

1938 წელს გამომცემლობამ „ტექნიკა და შრომა“ გამოსცა ალექსანდრე ინაშვილის მიერ შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ და სხვა მწერლების ნაწარმოებებიდან შემდგარი ლოტო. სათამაშო ლოტო შედგებოდა ე.წ. ქარდების, წიგნაკისა (თამაშის წესები) და მუყაოს ფირფიტებისგან. თითქმის ანალოგიურ პრინციპს ემყარებოდა 1986 წელს გამოცემული სახალისო ლოტო: „გონებანი გონიერსა“ (გამომცემლობა განათლება). ეს თამაში ემყარებოდა 1951 წლის საიუბილეო გამოცემას (სარედაქციო კოლეგია: ბარამიძე, კეკელიძე, შანიძე). თამაშში 110 აფორიზმია გამოყენებული, რომელიც 24 ქარდზეა განლაგებული.

XX საუკუნეში, დროთა ფორმაციის შედეგად, საჭირო გახდა პოემის ხალხთან ურთიერთობის ახალი ინტერაქტიური ფორმა. „ვეფხისტყაოსნის“ ლოტო სწორედ ასეთი მოვლენა იყო. მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი პოპულარობისა, დღეს თანამედროვე სამყაროში მაინც საჭიროა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაცია და თანამედროვე ინტერაქტიურ გარემოში დაბრუნება.

სამაგიდო თამაშები ტექსტის სიღრმისეულად გაგების და გათავისების ძალიან კარგი საშუალებაა მთელ მსოფლიოში. ლიტერატურული სამაგიდო თამაში უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა, რადგან უშუალოდ რუსთველისეულ სიტყვიერ სამყაროში ამოგზაურებს მოთამაშეს და მისი ბუნებრივი ნაწილი ხდება. ტექსტის შეცნობისთვის აუცილებელია მკითხველის იდენტიფიკაცია მის რომელიმე გმირთან ან მთლიანად ამბავთან. ამ მხრივ დაფის თამაშებს დიდი შესაძლებლობები გააჩნია. გრაფიკულ-გამომსახველობითი და ტექსტური მხარე ახალი სინთეზური ვარიაციებით არის წარმოდგენილი. თამაშობ, ესე იგი მონაწილეობ ამბავში — მოგზაურობ ხელშესახებ სიტყვიერ გარემოში და აფორზმებით იხსნება იმ სამყაროს კარი, რომელშიც ორგანულ ნაწილად იგრძნობ თავს.

მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ლადო პაპავა, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, მარიამ ცისკაძე, ნინო ჭალაგანიძე, ირმა რუხაძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-8 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62